ახალი განათლება

17 - 23 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№35 (749) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



გვერდი 2

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხოური ენების ტესტების შინაარსობრივი ნაწილისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოცდის დროის ცვლილების შესახებ

გვერდი 6

ეროვნულ ბიბლიოთეკას იტალიური სამკითხველო დარბაზი შეემატა

წავშალოთ ხაზი ჩვენსა და მათ შორის

როცა სტიგმა განაჩენია

გვერდი 8

ზამთარში პედაგოგთა საგნობრივი გამოცდა არ ჩატარდება

„მე პირადად მივიღე ეს გადაწყვეტილება და, რა თქმა უნდა, ზოგიერთ ადამიანს, რომელიც სწორედ ზამთარში აპირებდა გამოცდის ჩაბარებას, ამით ცხოვრება გავურთულეთ. თუმცა, ყოველი გამოცდა გარიერია და ამისი გაშუქება, ჩაჭრილი მასწავლებლების კუთხით, კიდევ ერთი დარტყმა იყო მასწავლებლების პრესტიჟზე. მოკლედ, ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან ცუდი რამ. მით უმეტეს, იცით, რომ ყოველ შემდეგ გამოცდაზე ჩაჭრილ პედაგოგთა პროცენტი ითვლება არა პედაგოგების საერთო რაოდენობიდან, არამედ გამოცდაზე გასული მასწავლებლების რაოდენობიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ სულ ბოლო გამოცდაზე 100-პროცენტიანი ჩაჭრა გვექნება. ვფიქრობ, ეს ძალიან ნეგატიური მოვლენაა.“ – აცხადებს ალექსანდრე ჯეჯელავა

დაბრუნდება მასწავლებელთა პროფესიული უნარების გამოცდა, მაგრამ, ჯერჯეროობით, უცნობია მისი ჩატარების კონკრეტული თარიღი. თუმცა, ცნობილია, რომ პროფესიული უნარების გამოცდას, საგნის გამოცდის მსგავსად, ბარიერი არ ექნება და მას მინისტრი, „გამოცდის“ ნაცვლად, „კვალიფიკაციის ამაღლებას“ არქმევს. *„ეს ჩემთვის ძალიან პრინციპულია იმიტომ, რომ 30-წლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგის გამოცდა არაადეკვატური მგონია. პროცესს კვალიფიკაციის დადასტურება ან კვალიფიკაციის ამაღლება ერქმევა, ოღონდ გამოცდა და ბარიერი – არავითარ შემთხვევაში.“*

მართალია „ჩაჭრა“, როგორც მოვლენა, მინისტრის თქმით, დასრულდა და ახალ რეალობაში მასწავლებლები უბარიერო გამოცდით შეეცდებიან კრედიტების დაგროვებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ცვლილება ვერ შეეხება იმ ჩაჭრილ პედაგოგებს, რომლებმაც სქემის საპილოტე წლის განმავლობაში უკვე სცადეს გამოცდის ჩაბარება და ბარიერი ვერ გადალახეს: *„უკან თარიღით ცვლილება ვერ განხორციელდება, რადგან ამას ტექნიკურად ვერ შევძლებთ. მართალი გითხრათ, ჩემი სურვილია, რომ გავითვალისწინოთ ეს რამენაირად, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა ძალიან მნიშვნელოვანი დრო დახარჯეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ადრე ჩატარებული გამოცდების შედეგების შეცვლას ტექნიკურად ვერ შევძლებთ“.*

განათლების სისტემაში მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეების შესახებ საუბრობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა

გვერდი 4

ეროვნული გამოცდები

შეფასებისა და
გამოცდების ეროვნული
ცენტრი

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხოური ენების ტესტების შინაარსობრივი ნაწილისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოცდის დროის ცვლილების შესახებ

სიახლეები 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდის უცხოური ენების ტესტში

• მოსმენის დავალება, 10 მცირე ზომის ტექსტის ნაცვლად, შედგება 5 შედარებით დიდი ზომის ტექსტისაგან. თითოეულ ტექსტს ახლავს 2 შეკითხვა; საკითხების რაოდენობა ამ დავალებისათვის, კვლავინდებურად, არის 10.

• ტესტიდან ამოღებულია მე-2 დავალება (განცხადებები). შესაბამისად ტესტი, 10 დავალების ნაცვლად, შედგება 9 დავალებისაგან.

• მე-8 დავალება, რომელიც გულისხმობდა ზმნების (ან მეტყველების სხვა ნაწილების) ჩასმას სწორ გრამატიკულ ფორმაში, გახდა არჩევითბოლოიანი. 4 მოცემული შესაძლო პასუხიდან აბიტურიენტმა უნდა აირჩიოს ერთი სწორი პასუხი. ეს დავალება, ამავე დროს, გახდა 10-საკითხიანი. 2017 წლის ტესტში ამ დავალების ნომერი იქნება 7.

• ტესტის მაქსიმალური ქულაა 90.

ტესტის ფორმატი
(ხანგრძლივობა 2 საათი და 40 წუთი)

დავალება	ინსტრუქცია	საკითხების რაოდენობა	მაქსიმალური ქულა
1. მოსმენა	მოუსმინეთ 5 ტექსტს და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს. სწორი პასუხი აირჩიეთ მოცემული 3 შესაძლო ვარიანტიდან. თითოეულ ტექსტს ახლავს 2 შეკითხვა.	10	10
2. წაკითხულის გააზრება	წაიკითხეთ ტექსტი და განსაზღვრეთ მოცემული წინადადებები სწორია თუ არასწორი.	10	10
3. წაკითხულის გააზრება	წაიკითხეთ შეკითხვები და შესაბამისი პასუხები მოძებნეთ მოცემული ტექსტის აბზაცებში. შეკითხვების ნომრები მიუსადაგეთ აბზაცის ნომრებს.	8	8
4. წაკითხულის გააზრება	წაიკითხეთ ტექსტი და გაეცით პასუხი მოცემულ შეკითხვებს. სწორი პასუხი აირჩიეთ მოცემული 4 შესაძლო ვარიანტიდან.	8	8
5. ლექსიკა	წაიკითხეთ ტექსტი და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სწორი სიტყვით. სიტყვები აირჩიეთ მოცემული ჩამონათვალიდან. 2 სიტყვა ზედმეტია.	12	12
6. გრამატიკა	წაიკითხეთ ტექსტი და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ დამხმარე სიტყვებით (მაგ., არტიკლით, წინდებულით, კავშირით, ა. შ.)	10	10
7. გრამატიკა	წაიკითხეთ ტექსტი და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ ზმნის (ან სიტყვის) სწორი ფორმით. პასუხი აირჩიეთ მოცემული 4 შესაძლო ვარიანტიდან.	10	10
8. წერა (წერილი)	წაიკითხეთ განცხადება და მიწერეთ იმეილი განცხადების ავტორს. სთხოვეთ მას, მოგაწოდოთ მეტი ინფორმაცია იმ დეტალების შესახებ, რაც განცხადებაშია მითითებული.	1	6
9. წერა (თემა)	დაწერეთ 120-150 სიტყვიანი თემა.	1	16

ტესტის მაქსიმალური ქულაა 90.

არჩევითი საგნის „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ საგამოცდო დროის ხანგრძლივობა იქნება 3 საათი

არჩევითი საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ სამი წელია, რაც ერთიან ეროვნულ გამოცდებს დაემატა. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ტესტისათვის გამოყოფილი დრო საკმაოდ ხანგრძლივია – აბიტურიენტების დიდი ნაწილი ტესტზე მუშაობას, დაახლოებით, 2 საათსა და 30 წუთს ანდომებს. 2016 წელს ახალი ფორმატით ჩატარებულ გამოცდაზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ 3 საათი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ გამოცდისათვის ოპტიმალური საგამოცდო დროა. შესაბამისად, 2017 წელს, ამ გამოცდას 3 საათი დაეთმობა, ნაცვლად 3 საათისა და 30 წუთისა.

სკოლის დირექტორების საყურადღებოდ!

გთავაზობთ ტრენინგს თემაზე:

„სასწავლო პროცესის კოორდინირება და მართვა“

(სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი)

საგანმანათლებლო ცენტრი „ლიბო მნტ“
საკონტაქტო ტელეფონები: 579455047, 577282282

ინფორმაცია

ტურინის პროცესის რეგიონული კონფერენცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „ტურინის პროცესის“ რეგიონულ კონფერენციას მასპინძლობს, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ჩამოსული არიან ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში ჩართული ქვეყნების წარმომადგენლები. ვინაიდან აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ევროკავშირის პასუხი აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში არსებულ გამოწვევებსა და სურვილებზე, „ტურინის პროცესი“ აფასებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პროგრესს პროფესიული განათლების რეფორმირების კუთხით და აყალიბებს რეკომენდაციებს შემდგომი პოლიტიკის მხარდაჭერისათვის.

2016 წლის ანალიტიკურ ანგარიშში აისახა საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული მასშტაბური ცვლილებები. კონფერენციის ფარგლებში, ქართულ მხარეს შესაძლებლობა აქვს, მიღწეული შედეგები გაუზიაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს და მათგანაც მიიღოს ინფორმაცია წარმატებული რეფორმების შესახებ. „ტურინის პროცესი“ ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რადგან ითვალისწინებს გამოცდილებისა და წარმატებული მაგალითების გაზიარების პრაქტიკას.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„ტურინის პროცესი გახლავთ ევროკავშირის მიერ შექმნილი მექანიზმი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან პროფესიული განათლების განვითარებით. ეს მექანიზმი რეალურად ხელს უწყობს ამ ქვეყნებს, გაუზიარონ ერთმანეთს მიღებული გამოცდილება, მიიღონ ინფორმაცია სიახლეებთან დაკავშირებით და დაგეგმონ ერთობლივი სტრატეგია. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ამ კონფერენციის მასპინძლობა და საქართველო, დღეს, 50-მდე ქვეყნის წარმომადგენლებს მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ პროცესების მონაწილე 2010 წლიდანაა და მასპინძელი ქვეყანა პირველად 2014 წელს გახდა, როდესაც წარადგინა ანალიტიკური ანგარიში პროფესიულ განათლებაში განხორციელებულ რეფორმასთან დაკავშირებით. ეს ანგარიში მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ საუკეთესოდ, რადგან სრულყოფილად გადმოსცემდა ინფორმაციას დაგეგმილ და განხორციელებულ საკითხებთან მიმართებაში.*

პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელების კუთხით ბევრი სიახლე გვაქვს. ამ პროგრესს აღნიშნავს არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ ევროკავშირის არა ერთი ქვეყნის წარმომადგენელი, მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებიც. შედეგები სახეზეა, ეს არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მაჩვენებლები, რომლებსაც ერთად ვაანალიზებთ.

ჩვენ ვხედავთ, რომ დიდი სხვაობაა დღევანდელ შედეგებსა და იმ ვითარებას შორის, როცა, რამდენიმე წლის წინ, რეფორმას ვიწყებდით. ჩვენ აღარ ვართ რეფორმის განხორციელების საწყის ეტაპზე, უკვე ძალიან ბევრი ნაბიჯი გადაიდგა და პროფესიული განათლების ხარისხი ბევრად გაუმჯობესებულია. შეცვლილია ორიენტირები, მთლიანად გადავიდა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, – ვსაუბრობთ კერძო სექტორის ჩართულობაზე, გვყავს დაინტერესებული ბიზნესპარტნიორები, რომლებიც მზად არიან ჩაერთონ პროფესიულ განათლებაში; უკვე რამდენიმე მიმართულებით დაწყებულია დუალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; სისტემა გახდა უფრო მოქნილი, დაინერგა მოდულური მიდგომა, რომელიც რეალურად ძალიან საინტერესოა როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე ზრდასრულებისთვის. პროცესი ძალიან ღიაა და მასში ჩართული არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პარტნიორი ორგანიზაციები, აქტიურად მუშაობენ თვითონ საგანმანათლებლო დაწესებულებები და, რაც მთავარია, კერძო სექტორის წარმომადგენლები. სწორედ ამ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, შეგვიძლია, წელსაც, კონფერენციაზე წარმოვადგინოთ ანალიტიკური ანგარიში, რომელიც ასახავს ბოლო ორი წლის განმავლობაში მიღწეულ პროგრესს. ამ გამოცდილებას აუცილებლად გავუზიარებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებს, შესაბამისად, ეს ანგარიში წარდგენილი იქნება ევროკავშირშიც. ამ პროცესების მხარდამჭერი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მრავალწლიანი პარტნიორი გახლავთ ევროპის განათლების ფონდი“.

ტიმო კუუსალა, ევროკავშირის განათლების ფონდის (ETF) წარმომადგენელი: *„დღეს ჩვენ ქართველ პარტნიორებს ვხვდებით, რათა 2014 წლიდან დღემდე მიღწეული პროგრესი განვიხილოთ, რაც დაგვეხმარება არსებული სიტუაციის გაანალიზებაში, პროგრესის შეფასებასა და რეფორმის შედეგების მონიტორინგში. ეროვნული ანგარიში ორ წელიწადში ერთხელ მზადდება. წლევანდელი ანგარიში ქართულმა მხარემ ჩვენ მიერ მიცემული მითითებების გათვალისწინებით მოამზადა და დღეს ამ ანგარიშის თითქმის დასრულებულ ვერსიას განვიხილავთ. თქვენ ბევრი მონაცემი და ფაქტი დაგიგროვდათ განსახილველად და, ამ მხრივ, თქვენი ქვეყანა გამორჩეულია. ვფიქრობ, დიდი გამოწვევაა ამ სტატისტიკური მონაცემების სწორი დამუშავება მოვახდინოთ, რათა საქართველოში პროფესიული სწავლების სისტემა კიდევ უფრო დაიხვეწოს.*

ინფორმაცია

კლასიკურ გიმნაზიაში განათლების საკითხებზე იმსჯელეს

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი მარიამ ჯაში მშობლიურ სკოლას, პირველ კლასიკურ გიმნაზიას ესტუმრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან, ლია გიგაურთან ერთად.

გაიმართა საინფორმაციო-ანალიტიკური შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან, რომელიც, რამდენიმე საათის განმავლობაში, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, განიხილეს ზოგადი განათლების მიმართულებით არსებული სიახლეები, ისაუბრეს გამოწვევებზე.

მასწავლებლებს, ასევე, შესაძლებლობა ჰქონდათ სასკოლო პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები და სურვილები.

პარლამენტის წევრი დაინტერესდა მასწავლებლების სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებებითაც. სტუმრებმა განათლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით მომავლის ხედვები გაუზიარეს მასწავლებლებს.

ლია გიგაური: *„განათლების სისტემის განვითარებისთვის დაგეგმილი ამბიციური პროექტების განხორციელებას, რა თქმა უნდა, სჭირდება საკანონმდებლო ბაზის ცვლილება და განვითარება. სწორედ ამიტომ, ჩვენ უკვე დავიწყეთ საკონსულტაციო შეხვედრები ქალბატონ მარიამთან და შევისწავლით, თითოეული კანონის ფარგლებში, რა ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს იმისათვის, რომ სისტემა გახდეს უფრო მოქნილი და, რაც მთავარია, წარმატებასა და მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული.*

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება სქემასთან დაკავშირებული ცვლილებები. მოგეხსენებათ, რომ პილოტირების პროცესში წარმოიქმნა გარკვეული ბარიერები და პრობლემები, რომლებსაც საკანონმდებლო მოწესრიგება სჭირდება. დავიწყებთ, ასევე, პროფესიული და უმაღლესი განათლების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების დაგეგმვას.“

მარიამ ჯაში: *„ქართული ოცნების გუნდმა ჩემი კანდიდატურა წარადგინა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე და უფლებამოსილების დამტკიცებამდე, მაქსიმალურად მინდა გამოვიყენო აღნიშნული პერიოდი, რომ გავეცნო უშუალოდ როგორც ბაღების, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო წრეების მოსაზრებებს სისტემაში არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებთან დაკავშირებით.*

ბუნებრივია, სასიამოვნო იყო ჩემთვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სიტუაციის შესწავლა ჩემი მშობლიური პირველი საშუალო სკოლიდან (დღეს პირველი კლასიკური გიმნაზიიდან) რომ დაიწყო. ვხვდები ჩემს ყოფილ პედაგოგებს, ახალგაზრდა კადრებს და ვეცნობი სკოლებში არსებულ გამოწვევებს, რომელთა გარშემო სერიოზული მუშაობა მოგვიწევს, განათლების სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით.

უკანასკნელ დღეებში არაერთი საკონსულტაციო შეხვედრა მქონდა განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. ჩემთვის ცნობილია სამომავლო ხედვები და სტრატეგიული მიმართულებები. ახლა მიმდინარეობს ანალიზისა და მოსაზრებების შეჯერების პერიოდი.“

მარიამ ჯაშმა მასწავლებლის პრესტიჟის ამაღლების პრიორიტეტულობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ამ მხრივ, ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რაც არა მხოლოდ მატერიალური მოტივაციის უზრუნველყოფას გულისხმობს, არამედ დამოკიდებულებების ცვლილებასაც.

„ვიდრე ჩემს ჩამოყალიბებულ ხედვას გავუზიარებ კოლეგებს როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ვფიქრობ, უმთავრესია არსებული ვითარებისა და გამოწვევების შესწავლა. ყველა დონეზე მაქვს დაგეგმილი მჭიდრო კონსულტაციები და ინტენსიური დიალოგის რეჟიმი. განათლების მინისტრსა და მოადგილესთან ერთად, უკვე სამი დღეა, განვიხილავთ სამინისტროს ხედვას არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით. უშუალოდ პედაგოგების მოსმენა ჩემთვის მნიშვნელოვანია.“

შეხვედრაზე მასწავლებლებმა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებზეც ისაუბრეს და პრობლემურ საკითხად საბუნებისმეტყველო საგნების სახელმძღვანელოებით სწავლება დაასახელეს. მაგალითად, ფიზიკის სახელმძღვანელო მოიტანეს – აღნიშნული სახელმძღვანელოთი სწავლება შეუძლებელია, წიგნი ძირითადად ინტერაქტიულია, რაც საგნის სწავლას ართულებს და მოსწავლეებსაც აბნევს.

მასწავლებლების აზრს, საბუნებისმეტყველო საგნებში სახელმძღვანელოების სირთულესთან დაკავშირებით, მარიამ ჯაში, როგორც მშობელი, სავსებით დაეთანხმა და ახალი სახელმძღვანელოების შემუშავებასთან დაკავშირებით თავისი ხედვა გააცნო: *„რადგან მცირერიცხოვანი ერი ვართ და ჩვენი ენა განსხვავდება სხვა საერთაშორისო ენებისგან, ვფიქრობ, გვაქვს ექსკლუზიური უფლება, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის არსებული სახელმძღვანელოების შეცვლისას, მთლიანად ჩვენს გამოცდილებას დავეყრდნოთ, უშუალოდ ჩვენი ისტორიისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მემკვიდრეობიდან გამომდინარე. მაგრამ, რაც შეეხება ზუსტ მეცნიერებებს, რომელთა სწავლების მეტად კარგი და დახვეწილი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებში, შეიძლება გადმოვიღოთ ჩვენი ეროვნული გეგმებისთვის და არ შევქმნათ რაღაც ჰიბრიდული სახელმძღვანელოები, რომლებიც არც თანამედროვეობას შეესაბამება და პოსტსაბჭოთა მოდელის გაუგებარი ნაერთიცაა. მე ზუსტ მეცნიერებებში უკვე კარგად გამოცდილი სახელმძღვანელოების ადაპტირებას დავუჭერდი მხარს.“*

იმ საგნების სახელმძღვანელოებზე მუშაობა, რომელთა მომზადებაც მთლიანად „ქართულ გამოცდილებაზე შეიძლება დამყარდეს“ (მაგალითად, ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია), მარიამ ჯაშის აზრით, საზოგადოებასთან, არასამთავრობო სექტორსა და ეკლესიასთან კონსულტაციების შედეგად უნდა ხდებოდეს.

„უშუალოდ საქართველოსთვის ექსკლუზიური პროგრამები, რომელთა შემუშავებაც ჩვენი პრეროგატივაა, საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის ასევე, ხაზს გავუსვამ (შეიძლება ეს არადადებითად შემიფასონ საერთაშორისო ექსპერტებმა), მაგრამ აუცილებლად საქართველოს ეკლესიასთან კონსულტაციით უნდა შეჯერდეს. საქართველოს ისტორიაში იმდენად დიდი როლი ჰქონდა სარწმუნოებას და ეკლესიას, რომ არ გვაქვს უფლება, კონსულტაციისა და რჩევის დონეზე მაინც არ მივმართოთ მათ სასწავლო პროგრამების შემუშავებისას. რასაკვირველია, იმ პროგრამებისთვის, რომლებმაც შეესაძლოა საზოგადოებისთვის კითხვის ნიშნები გააჩინოს.“

მის გამოსვლას, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კონსულტაციების საჭიროებაზე მიუთითებდა არასამთავრობო სექტორიდან ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. უფლებადამცველებმა განათლების კომიტეტის მომავალ თავმჯდომარეს სახელმწიფოს და რელიგიის გამიჯვნისკენ მოუწოდებენ.

საგანმანათლებლო პროცესის სეკულარიზაციის აუცილებლობაზე საუბრობენ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრში. **თამთა მიქელაძის** აზრით, დღეს საზოგადოებაში არსებული არატოლერანტული გარემო არასწორი განათლების პოლიტიკის შედეგია. პრობლემიდან მთავარ გამოსავალს სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობიდან რელიგიის მკაფიოდ გამიჯვნაში ხედავს: *„ეს არის სახელმწიფოს მხრიდან, პოლიტიკური ელიტის მხრიდან ეკლესიის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების დადასტურების კიდევ ერთი მცდელობა. სინამდვილეში, ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ვერ იაზრებს იმ რეალურ გამოწვევებს, რომლებიც განათლების სისტემაში აქვს. სწორედ ეთნორელიგიურ ნაციონალიზმზე დაფუძნებული განათლების სისტემა არის ის სისტემა, რომელიც ძალადობას, ქსენოფობიას, შეუწყნარებლობას ამკვიდრებს ჩვენს საზოგადოებაში.“*

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი **რევაზ აფხაზავა** განმარტავს, რომ რელიგიისა და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა საჯარო განხილვის ფარგლებს არ უნდა გასცდეს. *„ეს რეალურად უნდა იყოს საჯარო განხილვები, მაშინ არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ეს არ უნდა იყოს უხეში ჩარევა სამინისტროს საქმიანობაში. გვახსოვს, რა დონით და რა ინტენსიობით ერთვებოდნენ სასულიერო პირები სამოქალაქო განათლების საკითხების განხილვაში და რამხელა პრობლემა შეექმნა ჩვენი მოსწავლეებისთვის უმნიშვნელოვანესი საგნის დანერგვას სკოლებში.“*

მარიამ ჯაში საკუთარი განცხადების არასწორ ინტერპრეტირებაზე მიანიშნებს: *„ჩემი კომენტარი, როგორც ქართულ ეკლესიასთან, ასევე სხვა აღმსარებლობის კონფესიების წარმომადგენლებთან დაკავშირებით, გაზვიადებული იყო, ჩვენ საუბარი გვქონდა საკონსულტაციო პროცესზე და არავითარ შემთხვევაში – გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე.“*

საინფორმაციო-ანალიტიკური შეხვედრები მასწავლებლებთან მომავალშიც გაგრძელდება.

კახეთის რეგიონის წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

წარჩინებულ მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოება გრძელდება. სწავლაში მიღწეული წარმატებისთვის, ამჯერად, კახეთის რეგიონის სკოლების 300-მდე მეათეკლასელი დასაჩუქრდა. მოსწავლეებს კომპიუტერები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინიტრაციის უფროსმა თამარ ბაზერაშვილმა გადასცა. ღონისძიება, ტრადიციულად, ყვარელში, ილიაობას, ილიას სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე გაიმართა.

თამარ ბაზერაშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: *„სამინისტრო აგრძელებს წარმატებული მეათეკლასელების დაჯილდოებას. დღეს 284 მოსწავლეს გადაეცა პერსონალური კომპიუტერი. წლის ბოლომდე ვაპირებთ, საქართველოს მასშტაბით, ყველა მოსწავლის დასაჩუქრებას. რა თქმა უნდა, სამომავლოდაც ვაპირებთ აღნიშნული პროექტის გაგრძელებას, მოსწავლეთა მოტივაციისა და წახალისებისათვის“.*

ირაკლი ქადაგიშვილი, კახეთის გუბერნატორი: *„ეს ძალიან დიდი სტიმულია ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის და მათ თვალებში იკითხება კიდეც ეს სიხარული. დღეს ინტერნეტქსელზე წვდომა ერთ-ერთი წინაპირობაა იმისა, რომ ბავშვებს ჰქონდეთ მაქსიმალური ინფორმაცია და ცოდნის მუდმივად განახლების შესაძლებლობა. მართალია, წიგნს ვერასდროს ვერაფერი შეცვლის, მაგრამ ეს ის დამატებაა, ის ახალი შესაძლებლობაა, რომელიც ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ვფიქრობ, გარკვეულწილად, ეს ჯანსაღ შეჯიბრებითობასაც ბადებს ბავშვებში, რომ ამ საჩუქრის მიღების რაც შეიძლება მეტი პრეტენდენტი იყოს. ეს სწორი მიგნებაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ყველაფერი ხდება ილიას ეზოში, ილიას სახლ-მუზეუმში, რაც პირდაპირ კავშირშია ქართული კულტურის, სულიერების, განათლების იმ გაგებასთან, რისკენაც ჩვენ დღეს მივისწრაფით“.*

ქეთი ჭიპაშვილი, ყვარლის რესურსცენტრის ხელმძღვანელი: *„მთელი საქართველო და განსაკუთრებით კახეთი ელოდება ილიაობას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეა და მეორეც იმიტომ, რომ კახელი წარმატებული ბავშვები, უკვე ტრადიციად იქცა, იკრიბებიან ილიას კარ-მიდამოში და სწორედ ილიას ნატერფალიდან იღებენ განათლებისა და შრომის პირველ შედეგს.*

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ელიან ამ დღეს და რა სიხარულით მოდიან. მათ ხომ საბაზო საფეხური დაამთავრეს წარმატებით და სამინისტრომ, ჩვენმა მთავრობამ, ასეთი ძვირფასი საჩუქარი მოუმზადა. გასაოცარი სწრაფი ტემპით იზრდება წარმატებულ ბავშვთა რაოდენობა, იმიტომ რომ, ამან სწავლის მოტივაცია აამაღლა. წელს ვეღარ ვატევდით ბავშვებს, იმდენი იყვნენ, 300-მდე მივედით. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი წარმატებული ბავშვები.

ეს არ არის ერთადერთი პროექტი, რომელსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს მოსწავლეთა მოტივაციის და სწავლის დონის ასამაღლებლად. კახეთი მაქსიმალურადაა ჩართული ყველა პროექტში, იმიტომ რომ, ბავშვებმა, სკოლებმაც, იციან, რომ მათი შრომა სათანადოდ დაფასდება“.

რატი მექვევრიშვილი, ახმეტის №3 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ძალიან გახარებული ვარ და დიდ მადლობას ვუხდი განათლების სამინისტროს, რადგან დიდ სტიმულს გვაძლევს ბავშვებს, რომ უფრო კარგად ვისწავლოთ. ჩვენი ცოდნა ყოველთვის დაგვიფასდება“.*

ხატია შოშიაშვილი, ახმეტის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„დღეს ჩვენთვის უბედნიერესი დღეა. ალბათ, ამ დღეს ყველა სულმოუთმენლად ელოდა. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს მთავრობას და ყველას ამ საჩუქრისთვის. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, პირველ რიგში, ჩვენს მასწავლებლებს, რესურსცენტრსა და ჩვენს უსაყვარლეს დირექტორს – ნანა კრიხელს“.*

ალექსანდრე ჯეჯელავა
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

უმაღლესში ის უნდა ხვდებოდეს, ვინც დარწმუნებული და ჩამოყალიბებულია, რომ აქვს საკმარისი უნარები უმაღლესი განათლების მისაღებად

„ავტონომია უნივერსიტეტს“ – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, 15 ნოემბერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე და უნივერსიტეტში მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნების შესახებ საკუთარი პოზიცია ასე გამოხატა: *„ჩემი დამოკიდებულება ამის მიმართ, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ასეთია: ავტონომია უნივერსიტეტს! აუდიტორია 115-ის წევრები სწორედ ამას იმეორებენ ხშირად. ამ ბოლო დროს, ეს გამოთქმა, მგონი, ერთგვარი ბრენდიც კი გახდა. ვფიქრობ, უნივერსიტეტი იმიტომ არის უნივერსიტეტი, რომ მას უნდა ჰქონდეს საშუალება, თვითონ ჩამოყალიბდეს როგორც აკადემიურ, ისე თვითმმართველობის საკითხებზე.*

ვხედავ თუ არა რისკებს, რომ თვითმმართველობის არჩევნები არ მოეწონებათ სტუდენტებს ან არასტუდენტების ჯგუფს, რა თქმა უნდა, ვხედავ. ვფიქრობ, ნებისმიერი არჩევნების შედეგები – საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ სხვ. – საზოგადოების ნაწილს მოსწონს და ნაწილს კი – არა. შესაბამისად, საფრთხეს იმისას, რომ ამ არჩევნებით ყველა კმაყოფილი არ იქნება, ნამდვილად ვხედავ, თუმცა, არჩევნების განმარტება სწორედ ამაში მდგომარეობს – რომელიღაც მხარე იგებს, რომელიღაც მხარე აგებს. მეორე საკითხია პრინციპები, თვითონ თვითმმართველობის პრინციპები, აქ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ თვითმმართველობის პრინციპები უფრო ინკლუზიური უნდა გახდეს – ყველა სტუდენტს თუ სტუდენტთა ჯგუფს თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი თვითმმართველობის რესურსებზე და ა.შ. თსუ-ს შემთხვევაშიც და სხვა უნივერსიტეტების შემთხვევაშიც, ისევ და ისევ, მათი გადასაწყვეტია, როგორ სისტემას აირჩევენ, თუმცა, რაც უფრო დემოკრატიული და ლიბერალური იქნება რესურსების განაწილების სისტემა, მით მეტი შანსი იქნება იმისა, რომ ყველა ჩაერთოს და ნაკლები პროტესტი იყოს, თუმცა, პროტესტს ვერ გამოვრიცხავთ.“

სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო, ილიას სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში – სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა იმ კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, რომლებმაც ბაკალავრის ხარისხი მოიპოვეს.

აღმოჩნდა, რომ 64%-მა სწავლა საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაასრულა. ასევე, საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაასრულა საბაკალავრო პროგრამები იმ კურსდამთავრებულთა, საშუალოდ, 40%-მა, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგები ჰქონდათ. საშუალოზე დაბალია შერჩეული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების შეფასებების 67%. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებულმა კვლევამ ისიც გამოავლინა, რომ დაკვირვების ჩატარების დღეებში შერჩეულ ლექცია/სემინარებზე დასწრების საერთო მაჩვენებელი 15% იყო.

რა ფაქტორები განაპირობებს ასეთ დაბალ აკადემიურ მაჩვენებლებს და რაზე მეტყველებს ეს ყველაფერი, ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა: *„ძალიან ფართო თემაა და ერთი მიზეზი ასეთ რამეს არასდროს აქვს. ერთი რამ მინდა მოგახსენოთ (მიუხედვადა იმისა, რომ შესაძლოა ეს საზოგადოების ნაწილს არ მოეწონოს): წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულთა 84% გახდა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. მსგავსი ციფრი ბრიტანეთში არის 20%, ანუ უმაღლესი განათლება ბრიტანეთში, პირობითად, იმ ვიწრო წრის ხვედრია, რომელსაც ტოპ ქულები აქვს და აკადემიური მოსწრებაც ძალიან მაღალი. ბრიტანეთმა რომ გადაწყვიტოს, ყველა ახალგაზრდა შეუშვას უმაღლესში ან 20%-ის ნაცვლად 84%, პრობლემები შეექმნება. უმაღლესი განათლება თავისთავში გულისხმობს მოტივაციის მაღალ დონეს. სკოლის მოსწავლესავით ვერ ვსდევთ სტუდენტს, რადგან ითვლება, რომ სტუდენტობა ადამიანმა იმიტომ გადაწყვიტა და აირჩია პროფესია, რომ საკუთარ თავს თავად უპატრონოს. ბევრი უნივერსიტეტი თავისუფალ დასწრებას ნერგავს, ბევრი – საგნების არჩევას და ა.შ. იქ არის დაშვება ყველგან, რომ სტუდენტი ძალიან მოტივირებულია, რომ ისწავლოს, რაც, სამწუხაროდ, ვფიქრობ, ჩვენთან არარეალურია. იმის ხარჯზე, რომ პროფესიული განათლება, ჯერჯერობით, ძალიან არაპოპულარულია (თუმცა ახლა იკრებს ძალებს, მაგრამ ჯერჯერობით ასე ითვლება), გამოდის, რომ ის ხალხი, ვინც წესით პროფესიულში იქნებოდა ბედნიერი და არაჩვეულებრივ სამსახურს იშოვიდა, იმის გამო, რომ ოჯახმა ურჩია ან პერსტიჟულია, აკადემიური განათლების გზით წავიდა. ადამიანი, რომელსაც შინაგანი მოტივაცია არ აქვს, რომ ისწავლოს, რა თქმა უნდა, ყველანაირად ეცდება, დაუძვრეს ამ ვითარებას. მთავარ მიზეზად მე მაინც ამას ვიტყოდი.*

თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტმა, ბოლო წლების განმავლობაში (და სხვა უნივერსიტეტებიც ამას აკეთებენ), თამასა მნიშვნელოვნად ასწია და ასე აგრძელებს. ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებს დაფინანსებით უნდა დავეხმაროთ. დღეს, მოგეხსენებათ, დაფინანსებას ერთადერთი პარამეტრი აქვს – რამდენი სტუდენტი ჰყავს უმაღლეს სასწავლებელს, სხვა მეთოდი არ არის. ეს არ წაახალისებს ხარისხს, ეს წაახალისებს რაოდენობას. უნდა მოვახერხოთ, რომ დაფინანსების სქემა იყოს ისეთი, რომელიც სწორედ ამ პარამეტრებს – როგორი აკადემიური მოსწრება აქვს სტუდენტს ან სწავლის დასრულების შემდეგ საქმდება თუ არა – გაითვალისწინებს“.

პრესკონფერენციაზე ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, რომ იგეგმება ცვლილება უმაღლესი განათლების დაფინანსების სქემაში, რაც თავისთავად ძალიან მასშტაბური ცვლილებაა და ბევრ ადამიანს ეხება: *„ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ახალი სქემის შემუშავებაში ჩართული იქნებიან საერთაშორისო მოწინავე საკონსულტაციო კომპანიები და ძალიან მალე, ალბათ, გამოვაცხადებთ ამის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ჩემი მოსაზრებები მაქვს, მაგრამ ეს ისეთი მასშტაბის საკითხია, რომ არც ერთი კაცის და არც ხუთი კაცის მოსაზრებებით არ უნდა გადაწყდეს. ვფიქრობ, მომავალ წელს, 2017-ში, ამ მიმართულებით ცვლილებები გვექნება. მიმაჩნია, რომ დაფინანსების რამდენიმე ფონდი უნდა იყოს. ასეა უცხოეთის ბევრ ქვეყანაში – ცალკე ფონდია დაკავებული, მაგალითად, ეკონომიკის მიმართულების პროფესიების დაფინანსებით, ცალკე ფონდი აფინანსებს ქალებს გარკვეული მიმართულებებით, ცალკე ფონდი – მეცნიერებაში მიმავალ ახალგაზრდებს. პირადად მე, უფრო ეფექტურად მიმაჩნია, რომ დაფინანსების ერთი ფონდი და ერთი წესი კი არ იყოს, არამედ რამდენიმე. ამის მაგალითი დღესაც გვაქვს – ერთი არის წარჩინების ფონდი, რომელიც პირდაპირ ქულებზეა მიბმული, მეორეა სოციალური – 12 კატეგორია, რომელსაც გრანტებს ვაძლევთ, მათ შორის სოციალურად დაუცველებს. ორი ფონდი გვაქვს და ვფიქრობ, კიდევ უნდა დაემატოს, თუნდაც იმ მიმართულებებით, რაც ქვეყნისთვის პრიორიტეტულია ან ეკონომიკურად მომგებიანი.“*

შეიცვლება თუ არა სტუდენტის სწავლის საფასურის ოდენობად დადგენილი 2250 ლარი, ამაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განაცხადა: *„იმედია, შეიცვლება, მაგრამ არა მგონია, რომ დაფინანსება თანაბარი უნდა იყოს ყველა დარგის სტუდენტისთვის – არსებობს უფრო ძვირადღირებული დარგები და ნაკლებად ძვირადღირებული. თანაბარმა დაფინანსებამ გამოიწვია ის, რომ ვისი აღზრდაც ძვირი ჯდება, მათი რაოდენობა შემცირდა, ვისიც შედარებით იაფი – გაიზარდა. ამიტომ ეს უნდა შევცვალოთ. ცვლილება, სავარაუდოდ, 2017 წლის განმავლობაში გვექნება.*

დაფინანსების ცვლილების და უმაღლესი განათლების რეფორმირების მიზანი სწორედ ის არის, რომ ზუსტად იმან ისწავლოს, ვინც უნდა სწავლობდეს უმაღლესში. დღეს თამასა საკმაოდ დაბალია და შესაცვლელია – უნდა ავამაღლოთ, შესაბამისად, უმაღლესში ის უნდა ხვდებოდეს, ვინც დარწმუნებული და ჩამოყალიბებულია, რომ აქვს სამკარისი უნარები უმაღლესი განათლების მისაღებად. ყველა დანარჩენს არანაკლებ მნიშვნელოვან ალტერნატივებს შევთავაზებთ პროფესიული უმაღლესის სახით, რომ დასაქმდნენ და ჰქონდეთ სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრება.“

ლალი ჯელაძე

არ შეიძლება იმ ადამიანის გამოცდა, რომელიც 30 წლის განმავლობაში გამოსცადა ცხოვრებამ და რომელსაც თაობები ჰყავს აღზრდილი

რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებები

ჩვენი სამოქმედო გეგმა წერილობითი ფორმით უკვე არსებობს და, სულ მალე, მთავრობის წარდგენის შემდეგ, საჯარო ვერსია გვექნება. 39 მსხვილი პროექტი გამოიკვეთა, მოგახსენებთ ყველაზე საინტერესოებს.

ჩემი აზრით, ჩვენი გეგმის ცენტრში უნდა იყოს თვითონ სასწავლო პროგრამის რედიზაინი, გადაკეთება და ახლანდელი ბავშვების საჭიროებებზე მისადაგება. ამის გარშემო ბევრი რამ გვითქვამს: ერთი, რომ არ შეიძლება მეშვიდეკლასელი იყოს გადატვირთული და 10 საათამდე მეცადინეობდეს და მეთორმეტეკლასელს საქმე არ ჰქონდეს. ადამიანის ფიზიოლოგიური და ინტელექტუალური განვითარება მოითხოვს ტემპს პირიქით – პატარიდან მზარდისკენ. პირველკლასელს სულ უნდა ვეთამაშოთ და მეთორმეტეკლასელმა, წესით, თავი ვერ უნდა ასწიოს წიგნიდან. უცნაურია, მაგრამ ჩვენთან ასე არ არის. არ შეიძლება, მეხუთე-მეექვსეკლასელს რეპეტიტორი სჭირდებოდეს, თეორიულადაც არ შეიძლება. მშობელიც უნდა ახერხებდეს, რომ დაეხმაროს, თუ საჭიროა და ბავშვი თვითონ უნდა ართმევდეს თავს, მაგრამ ფაქტია, რომ სჭირდება.

ისეთ პროგრამას გავაკეთებთ, რომელიც იქნება ასაკთან შესაფერისი და თან სახალისო. ჩვენ ვზრდით მოქალაქეებს მომავლისთვის და მომავალში მათ რა ცოდნა დასჭირდებათ, არ ვიცით, ე.ი. ჩვენი მთავარი ამოცანაა – მოსწავლეს სწავლა ვასწავლოთ და სწავლა შევაყვაროთ, რომ მომავალში ახალი ტექნოლოგიები რომ შემოვა, რაც დღეს არ არის, შეიწოვოს, როგორც ღრუბელმა. ამგვარად, სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეებისთვის სწავლის შეყვარება, პროგრამის გამარტივება და გახალისება – ეს არის ერთი-ერთი მთავარი 39-დან.

სასწავლო პროგრამების გადაკეთება

სამინისტროში არის დეპარტამენტი, ძალიან პროფესიონალური, რომელიც ამაზე მუშაობს. ამას წინათ, მათ ხელმძღვანელს ხუმრობით ვუთხარი – თქვენთან სამუშაოდ გადმოვდივარ მოადგილის რანგში. სერიოზულ მუშაობას ვაპირებთ, ყველაფერი დეტალურად უნდა გავიაროთ. ამაზე მნიშვნელოვანი საქმე, მე პირადად, ნამდვილად არ მაქვს. მე ექსპერტი არ ვარ, რა თქმა უნდა, ამას ექსპერტები გააკეთებენ, ოღონდ მე უნდა შევძლო, რომ ხალხს რაც უნდა, ბავშვებს, ოჯახებს რაც უნდათ, სწორედ ის გატარდეს, თუნდაც უცხოური საუკეთესო პრაქტიკის კუთხით.

არაერთხელ ვახსენე და გავიმეორებ, რომ დამახსოვრებაზე ორიენტირებულ სისტემას, მთელ მსოფლიოში, ცვლის აზროვნებაზე ორიენტირებული სისტემა, ანუ ძველად თუ მნიშვნელოვანი იყო, რომელი წლის რომელ თვეს და დღეს დაიბადა, მაგალითად, ბლეზ პასკალი, ახლა უფრო მნიშვნელოვანია, პირობითად, პასკალსა და ნიუტონს შორის რა განსხვავებებია. დღეს სააზროვნო ამოცანა უფრო აქტუალურია, ადრე სამეხსიერო ამოცანა იყო აქტუალური.

როგორც კი საზეპიროებზე ვთქვი, რომ საჭირო არ არის, შეამჩნევდით ალბათ, მაინც და მაინც, გალაკტიონი, „ვეფხისტყაოსანი“ და აგიოგრაფია გაახსენდა ხალხს და არა ის, თუ რატომ ვამახსოვრებინებთ ბავშვებს ქიმიური ელემენტების მოლურ მასებს ან მდინარის შენაკადების რაოდენობას და დასახელებას, ამაზეა საუბარი. მოკლედ, მე მჯერა, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება, ცოტათი მოვაკლოთ მეხსიერებას, კი არ გავაუქმოთ ან ავკრძალოთ და ეს ცოტა მივუმატოთ აზროვნებას, ანალიტიკას და დასკვნების გაკეთებას.

მე არ ვთვლი, რომ ბავშვმა არ უნდა ისწავლოს საზეპიროები, ვთვლი, რომ უნდა ისწავლოს ზომიერად, ანუ დაბალანსებულად. რას ნიშნავს ეს? ვთქვათ, რატომ არ უნდა ჭამოს ბავშვმა ბოსტნეული? როგორ არ უნდა ჭამოს, ოღონდ დაბალანსებული დიეტა სჭირდება. ჩვენს ტვინსაც სჭირდება დაბალანსებული დიეტა და ახლანდელ ტვინს სჭირდება ცოტა უფრო ნაკლები საზეპირო და ცოტა უფრო მეტი სააზროვნო. ამიტომ ვამბობთ, რომ საზეპიროც იქნება, ლექსსაც ვასწავლით ბავშვს, სიმღერასაც, აგიოგრაფიიდან მნიშვნელოვან ადგილებსაც, ოღონდ, თუ ეს არის მხოლოდ სკოლის ამოცანა და გამოცდაზეც თუ ამას ვტესტავთ, მაშინ ის ბავშვი, შეიძლება, ცხოვრებისთვის მზად არ იყოს და მომავალში, მაგალითად, არჩევნებზე, როცა პოლიტიკოსები ზოგი რას ეუბნება,

ზოგი რას, მტყუან-მართალის გარჩევაში საზეპირო ხომ არ უშველის? საბჭოთა სისტემას და ბრიტანულ სისტემას, თავის დროზე, სჭირდებოდა, რომ ტელევიზორიდან რასაც გეტყოდნენ, ის დაგემახსოვრებინა და მერე რობოტივით გაგემეორებინა. ახლა სხვა დრო დადგა, რასაც ტელევიზორიდან გეტყვიან, შენი თავით უნდა აწონ-დაწონო და მტყუან-მართალი გაარჩიო. ეს უნდა ვასწავლოთ სკოლაში.

როგორ გახდეს სკოლა საინტერესო

მე ყოველ კვირას დავდივარ სკოლებში. რომ ნახოთ, პირველკლასელები რა მაგრად ხალისობენ ანუ დაწყებითი საფეხური, თავისი ბუნებით, ისეთია, რომ უყვართ, თვალები აქვთ ანთებული. დღეს მითხრა ერთ-ერთმა მოსწავლემ, ყველა ასო ვიცი, ქ-ც კი ვიციო. ეტყობა, გაუჭირდა ეს ქ და ასე გამიზიარა თავისი სიხარული. მოკლედ, დაწყებითი კლასები სახალისოა, ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ეს ხალისი შენარჩუნდეს, ძირითადად, სკოლაში. რანაირად? მეტი თამაში. ისეთი მაგარი ინტელექტუალური თამაშებია (გეოგრაფიის თემაზე, ისტორიის თემაზე...), შევაჯიბროთ, ვიქტორინები ჩავატაროთ, საზეპიროებში შეჯიბრი ჩავატაროთ, ანუ ნუ იქნება მასწავლებლის მონოლოგი, როცა დგას და მონოტონურად ჰყვება რაღაცას.

ჩვენ გვყავს ზღაპრული მასწავლებლები, ისეთ გაკვეთილებს ატარებენ, რომ ამერიკის და ევროპის ნებისმიერ სკოლას შეშურდება. მათი გამოცდილება უნდა გადმოვიღოთ, რომ იყოს თამაშ-თამაში, შეჯიბრი, ინტერესი, ხუმრობა, იუმორი – ეს ყველაფერი ერთად შეზავებული და, რაც უმნიშვნელოვანესია, ბავშვი იყოს ჩართული ამ პროცესში. თანამედროვე სკოლაში ეს არის მთავარი სიტყვა – ჩართულობა, მაშინ ბავშვს სწავლის ინტერესიც აქვს და მუღამიც.

პროგრამა, რომლითაც დღეს ასწავლიან, რამდენად არის თანხვედრაში ახალ გამოწვევებთან და მოთხოვნებთან

ჩვენ გვაქვს სულ ახლახან დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა, განახლებული, მეექვსე კლასის ჩათვლით. ეს პროგრამა თანხვედრაშია რეალურად, მაგრამ რამდენად მივიტანეთ ეს ახალი პროგრამა სკოლაში და დავნერგეთ, აი, აქ გვაქვს პრობლემა. სწორი გადაწყვეტილებები მიღებულია, ახლა ჩვენი ამოცანაა, სკოლაში მართლაც ისე ასწავლონ, როგორც წესი და რიგია.

ზედა კლასების პროგრამაზე ახლა მიდის მუშაობა და იმედი მაქვს, ძალიან მალე, ერთ წელიწადში, გვექნება ძირითადი ჩონჩხი ამ პრინციპულად ახალი პროგრამის, რომელიც ასაკობრივად უფრო შესაფერისი იქნება (როგორც ვთქვით – მეთორმეტეკლასელი ძალიან იყოს დატვირთული, მეშვიდეკლასელი – შედარებით ნაკლებად). დაბალანსებული იქნება დამახსოვრება და აზროვნება.

ასევე, არ შეიძლება, სახელმძღვანელოში ისეთი მაგალითები იყოს, რომელიც ახლანდელ დროს საერთოდ არ შეეფერება, ბავშვს სწავლის ინტერესი ეკარგება. ჩვენ რომ მას ველაპარაკოთ, როგორ ვუსმენდით მაგნიტოფონზე ფირებიან კასეტებს, ეს არქაული ამბავია, დინოზავრებზე მონათხრობს ჰგავს. უნდა ვესაუბროთ იმაზე, რაც დღეს ხდება – ინტერნეტზე, Youtube-ზე და ა.შ. ძველი ეფექტურად უნდა შევაჯვაროთ ახალთან.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება

გაგიზიარებთ ჩემი ბავშვობის შთაბეჭდილებას – შეყვარებული ვიყავი ერთ-ერთ ჩემს მასწავლებელში. მესამეკლასელი ვიყავი. ის ადამიანი არასდროს დამავიწყდება, რაღაც ზღაპრული იყო და ისეთი დაუძლეველი სურვილი მქონდა, რომ კარგად მესწავლა, რომ საზღვარი აღარ ჰქონდა. ჩვენ ვამბობთ, რომ სწავლა-სწავლებას, ისტორიულად, ყოველთვის საფუძვლად ედო სიყვარული, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, მთავარია პატივისცემა და სიყვარული, ფართე გაგებით. დარწმუნებული ვარ, უპირველეს ყოვლისა, გახსენდება ის ადამიანი, ვინც მსგავს ემოციებს იწვევდა შენში, უკეთესი ხდებოდი ან გინდოდა, რომ უკეთესი ყოფილაყავი. სკოლაში ჩვენ, ასე ვთქვათ, სული უნდა დავაბრუნოთ. სკოლა, პირველ რიგში, აღზრდის ადგილია, სადაც კარგი ადამიანი უნდა აღიზარდოს. ის კარგი ადამიანი აუცილებლად ისწავლის მერე, თუ სწავლას, ცოდნას შევაყვარებთ.

პირველ რიგში, მასწავლებლებთან გვაქვს სამუშაო და ეს ძალიან ადვილი სამუშაოა. კვალიფიკაცია კი არ სჭირდება, ამ ხალხს უნდა უთხრა, გასცენ სიყვარული, მოსწავლეებს სწავლა შეაყვარონ. ამაში ყველამ ერთად უნდა დავუჭიროთ მხარი, გვერდში უნდა დავუდგეთ. მშობლები თვლიან, რომ მასწავლებელს ჯადოსნური ჯოხი აქვს. სახლში თუ არ შეაყვარეს ბავშვს კითხვა, სწავლა და თუ სახლში იგივე არ მოისმინა – რომ სწავლა მნიშვნელოვანია, თუ ბავშვმა დედა არ ნახა წიგნით, ის წიგნს არასდროს არ წაიკითხავს. იფიქრებს, წიგნის კითხვა კარგი რომ იყოს, დედა ან მამა წაიკითხავდაო. შესაბამისად, ვამბობთ, რომ ოჯახიც უნდა დავიყოლიოთ და მასწავლებელიც, რომ მაქსიმალური სიყვარულით, მაქსიმალური სითბოთი მოექცნენ ბავშვებს. მასწავლებელს ამის დრო და საშუალება უნდა ჰქონდეს. დღეს მასწავლებელს იმდენი დოკუმენტაციის წარმოება უწევს, რომ ვერ მიხვდებით, მასწავლებელია თუ ბუღალტერი. ამას აუცილებლად შევცვლით. ეს სქემები, ძირითადად, უკვე შეცვლილია და იწყება მათი დანერგვა. მასწავლებელს უნდა ვაცალოთ, რომ იყოს ბავშვთან კარგ ურთიერთობაში.

იმასაც მსაყვედურობენ, რომ ვთქვი – სკოლიდან არავინ არ წავა. აუცილებლად წავა, პირობას გაძლევთ, ვინც ვერ შეძლებს, რომ ბავშვები კარგ შედეგზე გაიყვანოს, ყველა წავა სკოლიდან, მიუხედავად იმისა, თვითონ რა გამოცდა აქვს ჩაბარებული. მთავარია, ბავშვს მოანდომო სწავლა, შეძლო დაამოტივირო და მერე გზა დაანახო, როგორ ისწავლოს. დანარჩენი სუფთად ტექნიკური მხარეა.

როგორ უნდა შეაყვარონ ყველას სწავლა

ასეთი გამონათქვამია, შვილები კი არ უნდა აღზარდოთ, თქვენი თავი აღზარდეთ და შვილები თქვენ დაგემსგავსებიანო. მასწავლებელი უნდა იყოს სამაგალითო ადამიანი. ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომელიც ყველას ეხმარება, გვერდში უდგას, იწვის თავისი სამსახურის სიყვარულში და ამის შემდეგ, ბავშვებისთვის ეს გადამდები იქნება. რა თქმა უნდა, ოჯახსაც აქვს მნიშვნელობა. ყველას ერთნაირად ვერ შეაყვარებ, მაგრამ ასეთი ნათქვამიც არის – ოცი წლისას რასაც მეუბნებოდა დედაჩემი, ორმოცი წლისამ გავიგეო. ჩემი მასწავლებლები რასაც მეუბნებოდნენ მეცხრე კლასში, ზოგ რამეს 30 წლის ასაკში მივხვდი, მაგრამ მაინც მივხვდი, მოვიდა ჩემამდე ის სიკეთე, სითბო და დაკვალიანება. აუცილებლად მივა ყველა ბავშვამდე. კლასელები მყავდნენ სამოსნები, დღეს ისეთი მაგარი ხალხია, რომ იმათზე მაგარი არავინ არის იმიტომ, რომ შრომა შეუყვარდათ, მეგობრობა ისწავლეს, გვერდში დგომა ისწავლეს. ეს უნდა იყოს სკოლის მთავარი ამოცანა, პლუს საგნის სწავლება, ამის შემდეგ.

როგორ ავუმაღლოთ მასწავლებლებს მოტივაცია

ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ალბათ, მთავარი საკითხია. სასწავლო პროგრამის შემდეგ, მეორე მთავარი პროექტი პედაგოგების მოტივაციაა. პირველ რიგში, პედაგოგების მოტივაციასთან დაკავშირებით (ამის სპეციალისტი ვარ), უნდა ჰკითხო თავად პედაგოგებს – რა სჭირდებათ. და ვკითხე კიდეც, 5 თვეში, 45 შეხვედრაზე, შევხვდი 12000-ს პედაგოგს (გარდა იმ სპეციალისტებისა, ვისთანაც სულ ვმუშაობ) და ველაპარაკე პირისპირ. გვეუბნება ეს ხალხი, რა არის საჭირო, პირდაპირ, ზედმიწევნით კარგად იციან, რა სჭირდებათ: მეტი დრო ბავშვებთან სამუშაოდ; მეტი მხარდაჭერა მშობლების (რომ მშობელი ბავშვს ეუბნებოდეს, მასწავლებელს მიჰყევი); უფრო მეტი თავისუფლება იმავე სახელმძღვანელოსთვის, სასწავლო რესურსისთვის და ა.შ.; ხშირ შემთხვევაში, ნაკლები ბავშვი, სადაც ამის საშუალებაა; უცნაური და სულელური გადაწყვეტილებების (მაგალითად, სამი საგანი რომ ერთად ისწავლება და ასეთებიც გვაქვს, სამწუხაროდ) გაუქმება... – უზარმაზარი სია მაქვს, რომელიც მასწავლებლებთან ყოველ შეხვედრაზე იხვეწება. სხვათა შორის, კომპლიმენტებიც მივიღე, რა კარგად მიხვდი მასწავლებლების საჭიროებებსო. მე კი არ მივხვდი, ვკითხე, ვინც იცის და მითხრეს. დარწმუნებული ვარ, ძალიან მოკლე ვადაში, თვეებზეა საუბარი, ჩვენს სკოლებში მასწავლებლების მოტივაცია დღევანდელისგან თვისობრივად განსხვავებული იქნება.

ხელფასი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და ამ მიმართულებითაც ვდგამთ ნაბიჯებს, მომავალ წელსაც გაგრძელდება ამ მიმართულებით სვლა, 2018 წელშიც, 2019-შიც... მოკლედ, ჩვენ ზუსტად ვიცით, საით მივდივართ. ძალიან მიხარია, რომ პედაგოგის საშუალო ხელფასით დავეწიეთ ქვეყნის საშუალო ხელფასს, ანუ მასწავლებელი სხვაზე მეტად დაჩაგრული მაინც აღარ არის. ეს საკმარისი არ არის, ვაგრძელებთ ამაზე მუშაობას, მაგრამ მთავარია, რომ ეს ხალხი ფულისთვის არ არის სკოლაში მოსული. ეს ხალხი ამბობს, ნორმალურ ხელფასს თუ გადამიხდი, კარგ პირობებს თუ შემიქმნი და მიმიშვებ ჩემს საყვარელ მოსწავლეებთან, მთებს გადავდგამ და გადავატრიალებო. ზუსტად ამას ვაპირებთ და ეს მოხდება ძალიან მალე.

მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლება

ჩვენ გვაქვს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, ე.წ. „მასწავლებლის სახლი“, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, ჩვენი ამერიკელი მეგობრებიც გვეხმარებიან და ამ მიმართულებას ჩვენ თვითონაც ვავითარებთ. სკოლის მასწავლებლები არიან და გვინდა, რომ უფრო მეტად იყვნენ ჩართული ერთმანეთის სწავლება-განვითარებაში. მოკლედ, მასწავლებელი სწორედ ის პროფესიაა, რომელმაც ყოველწლიურად ძალიან ბევრი სიახლე უნდა გაიგოს. პედაგოგიკა ისე დინამიურად ვითარდება, რომ, ფაქტობრივად, შარშანდელი ცოდნით წელს ვეღარ ასწავლი. ბავშვი მოვა და Twitter-ზე მოგიყვება რაღაცას, წარმოდგენა მაინც უნდა გქონდეს, რა არის ეს ან ვირტუალური რეალობა და ა.შ. ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება, ასე რომ, ტრენინგი უნდა იყოს რეგულარული, ონლაინ ინსტრუმენტებსაც ვქმნით. დღეს შექმნილია პორტალი, სადაც მასწავლებლებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ ამბები, ერთ-ერთი მასწავლებელი თუ იკითხავს, რა არის ეს Twitter, რომელიმე კოლეგა დაუწერს ახსნა-განმარტებას. ეს არის მასწავლებლების ურთიერთდახმარება, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

მასწავლებლის სახლი აძლიერებს თავის საქმიანობას, აფართოებს და ჩვენს მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლების სულ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ.

ცვლილებები სქემაში

რაც უკვე შეიცვალა ამ სქემაში, არის მუქარა. სქემა მთავრდებოდა სიტყვებით – ...თუ არადა, წახვალ სახლში. სახლში წასვლა სქემასთან კავშირში აღარ არის. სქემა, რომელიც არის დამშინებელი, „ბუა“ ,პროფესიული განვითარების სქემა არ არის, ის არის დასაშინებელი სქემა.

ჩვენ ვამბობთ, რომ სახლში აუცილებლად წავა ყველა, ვინც გაკვეთილს ვერ ჩაატარებს, მიუხედავად იმისა, რა გამოცდები აქვს ჩაბარებული. საქმის კეთება სკოლაში აუცილებლად უნდა შეფასდეს და სათანადო შეფასების მეთოდები გვექნება.

რაც შეეხება პროფესიულ განვითარებას, განსაზღვრულია ოთხი საფეხური და ამ ოთხ საფეხურზე განსხვავებულია როგორც ანაზღაურება, დანამატები, ასევე კიდევ რაღაც სიკეთეები. თუმცა, გაზრდილია, ასევე, შრომის რაოდენობა, რომელიც საჭიროა, რომ მიაღწიო მაღალ საფეხურს და შეინარჩუნო, ანუ მენტორ მასწავლებელს, რომელიც უმაღლესი კატეგორიაა, ძალიან სერიოზული სამუშაო აქვს ერთხელ კი არა, რომ გადალახოს, არამედ ყოველწლიურად.

საუბარია იმაზეც, რომ დავაბრუნოთ პედაგოგიკა. ადრე, პედაგოგიკის მიმართულებით, გამოცდაც იყო და მომზადებაც, მერე რატომღაც გაუქმდა, აუცილებლად დავაბრუნებთ. ასევე იქნება ტექნოლოგიების მიმართულებით.

მასწავლებლებს არ ეთვლებოდათ სამეცნიერო ხარისხი, რაც შეცდომაა. სამეცნიერო ხარისხი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. სამეცნიერო მუშაობაში ჩართული მასწავლებელი არის უძვირფასესი.

ასევე, უნდა გავითვალისწინოთ სოციალური საქმიანობა – რას აკეთებინებს მასწავლებელი ბავშვებს, როგორ აყვარებს. ჩვენ ფიზიკის მცოდნე და საქართველოს არმოყვარული ბავშვები არ გვჭირდება, გვჭირდება ფიზიკის მცოდნე და საქართველოს მოყვარული ბავშვები. ამიტომ, მასწავლებელი, რომელიც სოციალური მიმართულებითაა აქტიური და აყვარებს ბავშვებს მშობლიური ქვეყნის ისტორიას, ქვეყნის არსს, ქალაქს, სოფელს, თემს..., არის უძვირფასესი და ესეც იქნება გათვალისწინებული სქემაში. გერმანიაშიც ასეა და სხვა ქვეყნებშიც, სოციალურ აქტივობაზე არის ქულები, რომელიც ეხმარება მასწავლებელს, ზედა დონეზე გადავიდეს.

გარდა ამისა, გვექნება ძალიან ბევრი აქტივობა – ტრენინგები, მასწავლებელთა კონფერენციები (გადავწყვიტეთ აღდგენა და უკვე პროცესში ვართ), პუბლიკაციები – ეს ყველაფერი მასწავლებელს დაუგროვებს კრედიტებს და ამ კრედიტების ჯამი თუ იქნა საკმარისი, გადავა შემდეგ დონეზე ან შეინარჩუნებს იმ დონეს, რომელზეც არის დღეს.

იხსნება თუ არა გამოცდის ბარიერი

ბარიერი იხსნება, ეს უკვე გადაწყვეტილია – ბარიერი გამოცდას აღარ ექნება. ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა გადავა შემდეგ დონეზე. მაგალითად, გავალთ მე და თქვენ გამოცდაზე, თქვენ აიღებთ 85%-ს, მე 15%-ს. არც ერთი არ ჩავჭრილვართ, უბრალოდ, თქვენ 85%-ის შესაბამისი კრედიტები დაგერიცხებათ, მე – 15%-ის. ჩემი კრედიტები არ ეყოფა შემდეგ დონეზე გადასვლას, თქვენი კრედიტები – ეყოფა. ე.ი. მე რა უნდა ვქნა? უნდა გავაგრძელო მუშაობა – სხვა გამოცდა ჩავაბარო, პუბლიკაციები მოვამზადო, სოციალური აქტივობები განვახორციელო და დავაგროვო საკმარისი კრედიტები. არასდროს არც ერთი ჩაჭრილი მასწავლებელი აღარ გვეყოლება და სიტყვა გამოცდაც მინდა, ამოვიღო ამ სისტემიდან. არ შეიძლება იმ ადამიანის გამოცდა, რომელიც 30 წლის განმავლობაში გამოსცადა ცხოვრებამ, რომელსაც თაობები ჰყავს აღზრდილი და ახლა, ლამის, იმათ შვილიშვილებს ზრდის. ამ ადამიანის გამოცდა არ შეიძლება, მისი კვალიფიკაციის დადასტურება – კი, ბატონო, მისი პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა – კი, მაგრამ გამოცდა – არა.

სასკოლო ჩანთის წონა

ეს პრობლემა ჩემთვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მინისტრისთვის, იმიტომ რომ, ჩემს შვილს ამან ჯანმრთელობა დაუზიანა. ძალიან ბევრ ადამიანს ძალიან სერიოზული პრობლემები შეუქმნა. სამი გზა გვაქვს:

ერთი – ჩვენ შევიმუშავეთ მსუბუქი წიგნის (როგორ ქაღალდზე იყოს დაბეჭდილი, როგორი ყდა ჰქონდეს და ა.შ.) სტანდარტი, რომლის შემთხვევაშიც, მთელი ჩანთის წონა – წიგნებისა და რვეულების – 3 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს. ეს ნებისმიერი ასაკისთვის დაშვებული სტანდარტია და ამაზე უკვე ვმუშაობთ, ახალი წიგნები ამ სტანდარტის იქნება.

მეორე – განიტვირთება ქვედა კლასების პროგრამა, რაზეც უკვე მოგახსენეთ. იმდენი საგანი რომ აღარ ექნება დღეში მოსწავლეს, აღარც იმდენი წიგნის წაღება მოუწევს და ჩანთა შემსუბუქდება.

მესამე – როგორც ალტერნატივას, ოღონდ ნებაყოფლობით ალტერნატივას, შემოვიღებთ ელექტრონულ წიგნებს. ოჯახი თუ გადაწყვეტს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, ბავშვს შეეძლება, მაგალითად, სახლში იმუშაოს ნაბეჭდი წიგნებით და სკოლაში მხოლოდ კომპიუტერი წაიღოს, რომელშიც ჩატვირთული ექნება ყველა წიგნი. ამგვარად, წიგნების წინ და უკან ტარება შეიძლება აღარ დასჭირდეს.

მშობელთა კრება

არის საკითხები, რომლისთვისაც კრების ფორმატი არაჩვეულებრივია, მაგალითად, ექსკურსიაზე თუ ვთანხმდებით, სად წავიდეთ და როგორ, კარგია, რომ მშობლები ერთად შეკრიბოთ. თუ ლაპარაკია ბავშვის წარმატებისა და წარუმატებლობის განხილვაზე, ეს უნდა მოხდეს, მხოლოდ და მხოლოდ, ინდივიდუალურ რეჟიმში. დღესაც ცდილობს ზოგიერთი თავდადებული მასწავლებელი, საკუთარი შრომის ხარჯზე, მშობლებს ინდივიდუალურად დაელაპარაკოს, თუმცა, ეს უნდა გავხადოთ სულ უფრო ხელმისაწვდომი და ყველას უნდა ჰქონდეს ამის საშუალებაც და ვალდებულებაც.

ის ფაქტი, რომ ბევრმა სკოლამ უკვე დანერგა ელექტრონული ჟურნალი და მშობელს შეიძლება შეტყობინება მოსდიოდეს მესიჯით ან იმეილით, ძალიან კარგია, იმიტომ რომ, არავის არ უნდა და არ შეიძლება, ბავშვის ნიშნები საერთო შეკრებაზე გამოაცხადო. ჩვენ ვაპირებთ, რომ მასწავლებლებს მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი, რომ მეტი დრო დახარჯონ მშობლებთან, ინდივიდუალურად, როგორც ეს ბევრგან ხდება და ამაში მიიღონ გასამრჯელო, ჩავუთვალოთ საათებში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მატერიალურ მოტივს შევუქმნით მასწავლებელს, მეტი დრო დაუთმოს მშობელს. მშობელი თუ ვერ „აღვზარდეთ“ (ალბათ, ცოტა უცნაურად ჟღერს), თუ ვერ ავიყოლიეთ ბავშვის აღზრდაში, არაფერი გვეშველება.

მოამზადა
ლალი თვალაგეიშვილმა

ეროვნულ ბიბლიოთეკას იტალიური სამკითხველო დარბაზი შეემატა

მაკა ყიფშიანი

10 ნოემბერს, გუდიაშვილის ქუჩაზე, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში მდებარე „ლიბერთი დარბაზში“, სტეფანო პაოლინის სახელობის იტალიური ბიბლიოთეკა ერთობლივად გახსნეს იტალიის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ანტონიო ბარტოლიმ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ.

ეროვნულ ბიბლიოთეკას იტალიის რესპუბლიკის საელჩომ, ელჩის, ანტონიო ბარტოლის ინიციატივით, 5000-ზე მეტი წიგნი გადასცა და იტალიური დარბაზის ავეჯითა და სხვა ინვენტარით აღჭურვა უზრუნველყო. კოლექცია თანამედროვე იტალიურ ლიტერატურას, იტალიის კულტურის შესახებ უნიკალურ კოლექციას და მდიდარ აუდიო-ვიდეო მასალას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის, 1629 წელს რომში გამოცემული „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ შემდგენლის, სტეფანო პაოლინის სახელობის იტალიური ბიბლიოთეკა სწორედ ამ წიგნადი ფონდის საფუძველზე შეიქმნა. შემთხვევითი არ არის, რომ იტალიური ბიბლიოთეკა იმ ადამიანის სახელს ატარებს, რომელმაც ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, საქართველოს იმდროინდელი ელჩი რომში) დახმარებით, 400 წლის წინ, პირველი ბეჭდური ქართული წიგნი შექმნა.

1629 წელს რომში გამოცემული წიგნის – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ (Ditionario Giorgiano) სათაურში აღნიშნულია, რომ ლექსიკონი შედგენილია *„სტეფანო პაოლინის მიერ ქართველის, წმინდა ბასილის წესის ბერის ნიკიფორე ირბახის დახმარებით, სახმარებლად სარწმუნოების გამავრცელებელ სასულიერო კონგრეგაციის მისიონერთათვის“*. ეს იყო არა მარტო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, არამედ 3086 სიტყვისგან შემდგარი, პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული ნაშრომიც. იმავე წელსვე, ნიკიფორეს აქტიური მონაწილეობით, დაისტამბა არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე წიგნი – „ქართული ანბანი ლოცვანითურთ“ (Litania Lauretana).

სტეფანო პაოლინის სახელობის იტალიური ბიბლიოთეკით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

იტალიური ბიბლიოთეკის გახსნამდე, პარლამენტის თავმჯდომარემ და მოწვეულმა სტუმრებმა ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ და მეორე კორპუსში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

მაია სიმონიშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პროგრამების მთავარი სპეციალისტი, ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი: *„ეროვნულ ბიბლიოთეკაში იტალიური სამკითხველო დარბაზის გახსნის შესახებ ჯერ კიდევ აპრილის თვეში, იტალიის ელჩის წინადადებით, დავიწყეთ მუშაობა. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდით ამ ინიციატივას და ბიბლიოთეკაში სათანადო ფართიც გამოვყავით. იტალიური ბიბლიოთეკის კოლექცია, სულ 5100 წიგნი, ლუქსემბურგის იტალიური კულტურის ცენტრიდან გადმოიგზავნა. ჩვენ წინასწარ არ ვიცოდით, იტალიური ბიბლიოთეკის შესავსებად რა სახის და რა შინაარსის წიგნები ჩამოვიდოდა, თუმცა, ვიცოდით, რომ ევროპის ცენტრში საინტერესო ლიტერატურა იქნებოდა. აღმოჩნდა, რომ ყველა წიგნი, რომელმაც ჩვენს საცავში დაიდო ბინა, უახლესი, ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი საინტერესო წიგნია ხელოვნების მოყვარულებისთვის. აქ თავმოყრილია 1000-ზე მეტი უძვირფასესი ალბომი. გარდა იმისა, რომ კოლექციაში იტალიური ხელოვნების ყველა დარგია წარმოდგენილი, ასევე ყველა იტალიელი მნიშვნელოვანი ავტორის წიგნიცაა. კოლექცია აუდიო-ვიდეო მასალას მოიცავს, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს, დაეუფლოს და შეისწავლოს იტალიური ენა. მათთვის, ვისაც აინტერესებთ იტალიასთან კავშირები, მეცნიერება, კულტურა, მართლაც ძალიან მდიდარი და მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკაა. სასიხარულოა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში აქამდე არსებულ, ჰუმბოლტის გერმანულ ბიბლიოთეკას, დიუმას ფრანგულ ბიბლიოთეკას, მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკულ ბიბლიოთეკასა და აღმოსავლურ ბიბლიოთეკას იტალიური ბიბლიოთეკა დაემატა. დაინტერესებულ მკითხველს, გემოვნების მიხედვით, მათთვის საინტერესო ქვეყნის ლიტერატურის არჩევის შესაძლებლობა აქვს. დღეიდან სტეფანო პაოლინის სახელობის იტალიური ბიბლიოთეკით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.“*

გიორგი კეკელიძე, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი: *„იტალიური ბიბლიოთეკის გახსნა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ეს არის შესაბამისი სივრცე უშუალოდ იტალიური ენით და ლიტერატურით დაინტერესებული ადამიანებისთვის; მეორე მხრივ, ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების კარგი ხიდია და მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელზეც დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ ბევრი საინტერესო ამბავი აიგება.*

იტალიური ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესო თემატური ბიბლიოთეკაა, რომელიც გვერდს დაუმშვენებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში უკვე არსებულ, ორ მეზობელ თემატურ ბიბლიოთეკას, ეს არის ჰუმბოლტის და დიუმას ბიბლიოთეკები. იტალიური ბიბლიოთეკა საკმაოდ მოცულობითია, სამკითხველო ტიპის დარბაზში, მკითხველები სხვადასხვა სიახლეებს და კლასიკურ ლიტერატურას გაეცნობიან. დიდი მადლობა ამ საჩუქრისთვის იტალიის ელჩს და მთელ იტალიას, რომელიც ბუნებრივია, როგორც სახელმწიფო, ამ პროცესებში იყო ჩართული. დიდი მადლობა ეროვნული ბიბლიოთეკის ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა იტალიური ბიბლიოთეკის დაარსებისა და გახსნის პროცესში, განსაკუთრებით მინდა გამოვყო ***გულიკო გორდელაძის*** *და* ***მაია სიმონიშვილის*** *თავდაუზოგავი შრომა. მადლობა ასევე ყველა იმ ადამიანს, რომლებიც გვეხმარებოდნენ თუნდაც წიგნების გადაზიდვაში, დარბაზის მოწყობაში... ნებისმიერ მათგანს, რომელიც ფიქრობდა, რომ აკეთებდა მნიშვნელოვან საქმეს.*

არ შემიძლია განსაკუთრებული და გულწრფელი მადლიერება არ გამოვხატო პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ დავით უსუფაშვილის მიმართ, იმ კვალიფიციური თანამშრომლობისთვის, რომელიც მან პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისთვის არაერთხელ გასწია.“

ანტონიო ბარტოლი, იტალიის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში: *„იტალიის საელჩო მხარს უჭერს იტალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარების გასაღებია. უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას თანამშრომლობისთვის. დიდი მადლობა ბატონ დავით უსუფაშვილს, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს შორის ჩემთვის ერთ-ერთი პატივსაცემი ადამიანია. სასიხარულოა, რომ დღეს, იტალიური ბიბლიოთეკა გაიხსნა, საჩუქრად გადავეცით ეროვნულ ბიბლიოთეკას 5000-მდე წიგნი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, გიორგი კეკელიძესთან ერთად განვიხილავთ ამ ბიბლიოთეკის სამომავლო განვითარებასა და გაფართოებას. გაიზრდება წიგნების რაოდენობა, საცავი მთლიანად გაფორმდება იტალიურ სტილში და ეს იქნება თავშეყრის ადგილი ყველა იმ ადამიანისთვის ვისაც იტალიური ენა და კულტურა უყვარს. შეიძლებოდა, ბიბლიოთეკა დანტე ალიგიერის სახელობის ყოფილიყო, მაგრამ გადავწყვიტეთ, ისეთი ადამიანის სახელი შეგვერჩია, რომელიც, იტალიასა და საქართველოს კულტურული ურთიერთობების დასაწყისიდანვე, ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იქნებოდა. ისტორიიდან იცით, რომ თეატინელი მისიონერები, რომლებიც საქართველოში გამოსამგზავრებლად ემზადებოდნენ, შეხვდნენ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს (ნიკიფორე ირბახი) და მასთან ერთად შექმნეს იტალიურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ამასთანავე პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნია. მიხარია, რომ ჩვენი თანამშრომლობა მარტო წარსულში არ რჩება, ის დღესაც გრძელდება.“*

დავით უსუფაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე: *„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულო დღეა. მიხარია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ყოველთვის ძალიან ბევრი კარგი ამბავი ხდება. ყველას, ვისაც გაუჩნდება სურვილი, იმ პრობლემებიდან, იმ თემებიდან, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას ამძიმებს, ხანდახან მაინც გამოვიდეს და იფიქროს კარგზე, დადებითზე, ამაღლებულზე, ადამიანზე, სულიერებაზე, წარსულზე, მომავალზე, ამ შენობაში უნდა მოვიდეს, რადგან აქ მომსვლელს ძალიან ბევრი ისეთი კუთხე, ისეთი ნივთი და რაც მთავარია, ისეთი წიგნი ელის, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გაგვახსენებს, რომ ყოველდღიური პრობლემების მიღმა არსებობს რაღაც სხვა – მშვენიერი, ამაღლებული, სასიამოვნო. ყველაზე უკეთ, ალბათ, ამ შენობაში ვგრძნობთ ქართველები, რომ ვართ ძალიან მდიდარი თვითმყოფადი ეროვნული კულტურის მქონე, ევროპული ცივილიზაციისა და ქრისტიანული კულტურის ნაწილი. დღევანდელი დღე ამის დემონსტრირებაა, დღევანდელი მოვლენა არის ევროპული ინტეგრაცია პრაქტიკაში, ჩვენი სვლა ევროპული სახლისკენ რეალობაში. დღეს ამ შენობაში გაიხსნა კიდევ ერთი მშვენიერი, იტალიური კუთხე, რომელიც ატარებს იმ ადამიანის სახელს, რომელმაც პირველი ბეჭდური ქართული წიგნი შექმნა. ეს იყო 400 წლის წინ, როდესაც იტალიელი და ქართველი მოღვაწეეები, მწიგნობრები ზრუნავდნენ იმისთვის, რომ ეს ორი ქვეყანა, ეს ორი ერი ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილიყო, ერთმანეთი უკეთ გაგვეცნო და გაგვემდიდრებინა. ნამდვილად ფასდაუდებელია იმ ადამიანების წვლილი, ვინც საფუძველი ჩაუყარეს ამ ურთიერთობას და მეგობრობას. ასევე, ძალიან დიდია წვლილი ბატონი ელჩის, მისი მთავრობის და იმ ადამიანების, ვინც რეალობად აქცია დღევანდელი დღე.*

დიდი მადლობა ბატონ გიორგი კეკელიძეს და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, რომლებიც მუდამ შემართული, მოწადინებულნი არიან სიახლეებისთვის, ყოველთვის უნდათ რაღაც ახალი მიუმატონ ამ მშვენიერ დაწესებულებას, რომელსაც სახელად ეროვნული ბიბლიოთეკა ჰქვია, მაგრამ შინაარსით გაცილებით მეტია, გაცილებით დიდი. ძალიან მალე, ამ ყველაფერს კიდევ უფრო მკაფიო, ვიზუალური დემონსტრირება ელის, როდესაც მწყობრში ჩადგება ის შენობა, ის კაბინეტები, დღეს რომ დავათვალიერეთ. მოხარული ვარ, რომ ვიყავი იმ პარლამენტის წარმომადგენელი, რომელმაც საკმაოდ რთულ ვითარებაში, როდესაც ქვეყანას ძალიან ბევრი სხვა საჭიროება და პრიორიტეტი ჰქონდა, გამოვნახეთ საშუალება, დამატებითი თანხები, რითიც შესაძლებელი გახდა ბიბლიოთეკის შენობის გამაგრება და სათანადოდ მოწყობა. აქ ხომ სულ მალე დაიდებს ბინას ძალიან მნიშვნელოვანი ხორცშესხმული იდეები – „ანბანის მუზეუმი“, „წიგნის მუზეუმი“, რომელზეც ჯერ კიდევ 60 წლის წინ, გალაკტიონ ტაბიძე ოცნებობდა; მალე ბიბლიოთეკის მეორე კორპუსის ბაღში, სამხედრო მისიებში დაღუპული ქართველების უკვდავსაყოფად, სპეციალური კუთხე გაკეთდება. ყველა ის კაბინეტი, რომლებიც დღეს დავათვალიერეთ, შენების და შექმნის პროცესშია. აქ მხოლოდ ბიბლიოთეკის შენობის ფუნდამენტს არ ვამაგრებთ, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტს. ქართული სახელმწიფოსთვის თუ რაიმე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია ჩვენს ქვეყანაში, პირველ რიგში, ეს ეროვნული ბიბლიოთეკაა. სწორედ ამაზე დგას ჩვენი დღევანდელობა და ჩვენი მომავალი. მოხარული ვარ, რომ 4 წლის განმავლობაში მქონდა ბედნიერება ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის, მოხარული ვარ, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შევძელით და მჯერა, ახალი პარლამენტი კიდევ უფრო მეტ საშუალებას გამოძებნის იმისთვის, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში წამოწყებული საქმიანობები სათანადოდ განვითარდეს. ამ შენობაში კიდევ ბევრჯერ შევიკრიბებით სასიხარულო და ძალიან სერიოზული მოვლენების აღსანიშნავად.

სასიხარულოა, რომ დღეიდან ამერიკულ, გერმანულ, ფრანგულ, თურქულ ბიბლიოთეკებს იტალიური ბიბლიოთეკაც შეემატა. კიდევ ერთხელ შევახსენებ ჩვენს თანამემამულეებს, დიახ, ჩვენ ვართ ერთიანი მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი, რომელშიც ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ და რომლიდანაც მაქსიმალურად უნდა მივიღოთ ის ღირებულებები, ის სულიერი საზრდო, რომლის გარეშეც მსოფლიოში ვერც ერთი ერი იზოლირებულად ვერ იარსებებს.

მართალია, მე დღეს პარლამენტის თავმჯდომარის რანგში ბოლოჯერ ვესტუმრე ბიბლიოთეკას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ჩემი ბოლო სტუმრობა. სხვა სტატუსით სიამოვნებით ვესტუმრები მას, ყოველთვის ვიქნები მათ გვერდით ყველა ახალი წამოწყების ხორცშესხმაში და ვიქნები მდიდარი ეროვნული ბიბლიოთეკით მოსარგებლე ერთ-ერთი რიგითი მკითხველი“.

კონკურსი

„ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

„თიბისი“ ბანკის ცენტრალური ოფისის საგამოფენო დარბაზში მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ ფინალური ეტაპი გაიმართა. გამოვლინდნენ გრან-პრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები.

საკონკურსო გამოფენაზე, შერჩეული კონკურსანტები, საკონკურსო კომისიის წინაშე, წარდგნენ ხანმოკლე პრეზენტაციით თავიანთი გამოგონების შესახებ. კომისიამ გამარჯვებულები და სპეციალური პრიზების მფლობელები გამოავლინა – ერთი გრან-პრი, პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული პროექტები. გრან-პრით დაჯილდოებული პროექტის ავტორი, შემეცნებითი ტურით, საზღვარგარეთ გაემგზავრება. პირველ ადგილზე გასული პროექტის ავტორი დაჯილდოვდა 5000 ლარის ოდენობით, მეორე ადგილზე – 3000, მესამე ადგილზე – 2000. 2016 წელს, კონკურსში წარდგენილი 42 საკონკურსო განაცხადიდან, მეორე ეტაპზე გადავიდა 26 საკონკურსო განაცხადი 60 მოსწავლის მონაწილეობით და გაიმარჯვა ოთხმა პროექტმა:

❖ **გრან-პრი** – მზის ელემენტების მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგია – **გიორგი ნიორაძე** და **ვახტანგ კონტრიძე** (სერვანტესის სახელობის გიმნაზია-GESS, XII კლასი);

❖ **I ადგილი** – ახალი თაობის „ცოცხალი“ საკვების შემუშავება საქართველოს სანედლეულო რესურსების რაციონალური გამოყენებით – **გიორგი ფხაკაძე** (ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესი“ (ქუთაისი), XII კლასი) და **მარია ერაძე** (ნიკო ნიკოლაძის სკოლა ლიცეუმი, XI კლასი);

❖ **II ადგილი** – გვირილა-მზის პანელის პარაბოლოიდური რეფლექტორის განშლადი კონსტრუქცია – **ბექა მიქაძე** (სერვანტესის სახელობის გიმნაზია-GESS, XII კლასი) და **გიორგი მარგიანი** (ახალი ლიცეუმი, XII კლასი);

❖ **III ადგილი** – მიკრო კონტროლერის გამოყენებით თვითსწავლებადი სისტემის შექმნა – **ალექსანდრე ხოხიაშვილი** (კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა, XI კლასი), **დიმიტრი კორკოტაშვილი** (კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა, X კლასი) და **თამარ კორკოტაშვილი** (კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა, IXკლასი).

კონკურსანტებს გამარჯვება მიულოცეს და ჯილდოები გადასცეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა მარინე ჩიტაშვილმა.

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„გამოგონების პოტენციალი მთავარია ადამიანის განვითარებაში. ადამიანი არის შემქმნელი. როცა რაღაც ახალს და მნიშვნელოვანს ქმნი, არის აბსოლუტურად სხვა ცხოვრება და როდესაც რაღაც ერთფეროვანს აკეთებ – სულ სხვა. ძალიან მიხარია, რომ ამდენი წელია, გვაქვს საშუალება, ჩვენს ახალგაზრდებს, რომლებიც სუპერნიჭიერები, სუპერმოტივირებულები და ძალიან ჭკვიანები არიან, შევუქმნათ გარემო არა მარტო თავისთვის ოცნების და გამოგონების, არამედ ამ გამოგონებების პრაქტიკაში გადაქცევის. დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი ამ გამოგონებათაგანი ბიზნესად რომ გადაიქცეს, მთელი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში.“*

გამარჯვებული პროექტის ავტორები, Intel-ის ფონდის დაფინანსებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პიტსბურგში, გაემგზავრებიან მსოფლიოში უდიდესი კონკურსის – Intel-ის საერთაშორისო-საინჟინრო გამოფენაში (Intel ISEF) მონაწილეობის მისაღებად. 2014 წელს ლეონარდო და ვინჩის კონკურსის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, **ნიკა ალავიძემ**, პიტსბურგში, Intel ISEF-ის კონკურსში, 1700 კონკურსანტს შორის, მეოთხე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

მოსწავლე გამომგონებლებისთვის, ასევე, სპეციალური პრიზები დააწესეს:

❖ „თიბისი“ ბანკმა;

❖ „ინტელის“ წარმომადგენლობამ საქართველოში;

❖ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტი“;

❖ ენერგო ეფექტურობის ცენტრმა „საქართველო“;

❖ შპს მთაწმინდის პარკმა.

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა ტრადიციული კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“, 2010 წლიდან, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით ცხადდება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს სწავლის დონის ამაღლებას, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას. კონკურსი, ღია და თანასწორი კონკურენციის პირობებში, გამოავლენს და წაახალისებს გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს, სტიმულს აძლევს მათი შემოქმედებითი აზროვნების, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. კონკურსში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლეები როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

2016 წელს წარდგენილი საკონკურსო განაცხადები მოიცავს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს: საინჟინრო მექანიკა; რობოტიქსი და ინტელექტუალური მანქანები, ფიზიკა და ასტრონომია, გარემოსდაცვითი ინჟინერია, დედამიწისა და გარემოსდაცვითი მეცნიერებები, ქიმია/ბიოლოგია/ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები, დანერგილი სისტემები.

ალექსანდრე ხოხიაშვილი, კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ჩვენ გამოვიგონეთ სისტემა, რომელსაც შეუძლია ისწავლოს ისევე, როგორც ადამიანმა – ფერები, სიარული და ა.შ. ჩვენი სისტემით შეგვიძლია ვმართოთ ეს პროცესი. აი, მაგალითად, ჩვენს სისტემას ვასწავლით ფერებს – დავანათებთ მწვანე ფერს და ღილაკით ვეუბნებით, რომ ეს არის მწვანე და ისიც იმახსოვრებს.“*

თამარ კორკოტაშვილი, კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის *მოსწავლე: „მე და ჩემი გუნდის წევრები ახლო მეგობრები ვართ, ერთად დავდიოართ კომაროვის სკოლაში. ჩვენ საერთო ინტერესმა გაგვაერთიანა – გვაინტერესებდა სხვადასხვა ნეირონული ქსელი, ხელოვნური ინტელექტი და ასე მოვხვდით ამ კონკურსზე. ჩვენი პროექტის მიზანია, შევქმნათ ისეთი სისტემა, რომელიც არ მოითხოვს წინასწარ განსაზღვრული ალგორითმების დაწერას, ყველაფერს ვაკეთებთ სწავლების პროცესით და ამას ნეირონული ქსელების საშუალებით ვაღწევთ.“*

გიორგი ყაზაიშვილი, კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ჩვენს პროექტს ჰქვია „ექსტრაგრავიტაცია“, რაც გვეხმარება კოსმოსში სხეულის დაბალანსებაში. დაყენებული ძრავები და აქ არსებული მაგნიტომეტრი, რომელიც კოსმოსშიც იმუშავებს, გვეხმარება სხეულის ადგილმდებარეობის დადგენაში. შემდეგ ამ ინფორმაციას ამუშავებს და იღებს შესაბამის ზომებს, რომ ის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდეს. ჩვენი დანადგარი ნებისმიერ გადახრაზე მუშაობს.“*

ბექა მიქაძე, სერვანტესის სახელობის გიმნაზიის მოსწავლე: *„გასულ წელს, „ლეონარდო და ვინჩის“ კონკურსში, ჩვენმა გუნდმა გრან-პრი აიღო და Intel ISEF-ის საერთაშორისო კონკურსზე გაემგზავრა. მთელი შემდეგი წელი ვემზადებოდით ამ კონკურსისთვის. დღეს წინა წლის პროექტის განახლებულ და გაუმჯობესებულ პროტოტიპს წარმოგიდგენთ – განშლადი კონსტრუქცია ახდენს მზის სხივების კონცენტრაციას მზის პანელზე და შედეგად მიიღება გაცილებით მეტი ენერგია, ვიდრე დღეს აპრობირებული მეთოდებით, როდესაც სიბრტყეზე მონტაჟდება პანელები და არანაირი განშლადი და დამცავი კონსტრუქციები არ უმაგრდება ღია ცის ქვეშ.“*

ენრიკო გეგიძე, კერძო სკოლა „გორდას“ მოსწავლე: *„მეორე წელია, ვმონაწილეობ პროექტში. წელს გამოვიგონეთ გაჟონვის აღმკვეთი მოდული, რომელიც მაქსიმალურად აღმოფხვრის დანაკარგს, მილში რაც უნდა გაედინებოდეს – ნავთობი, აირი თუ წყალი. ეს აპარატი ძალიან მარტივად მუშაობს – გაჟონვის შემთხვევაში, როგორც კი წნევა დავარდება, წნევის სხვაობის შედეგად, აპარატი იკეტება.“*

გიორგი ნიორაძე, სერვანტესის სახელობის გიმნაზიის მოსწავლე, გრან-პრის მფლობელი: *„ჩვენი პროექტი შეეხებოდა მზის ელემენტის მარგი ქმედების გაზრდის ინოვაციურ ტექნოლოგიას. ამ პრობლემაზე მუშაობა იმიტომ დავიწყეთ, რომ 21-ე საუკუნის მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულია მზის ელემენტის მიერ არასაკმარისი ელექტროენერგიის გამოყოფა და თითქმის ყველა მეცნიერი მუშაობს ამის გაუმჯობესებაზე. ჩვენმა გუნდმაც გადავწყვიტეთ, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ საქმეში და, როგორც ხედავთ, ეს ცდა წარმატებით დასრულდა – გავზარდეთ მზის ელემენტის მარგი ქმედების კოეფიციენტი და ვფიქრობთ, სწორედ ამან დაიმსახურა ჟიურის მოწონება და გრან-პრის მოკუთვნება.“*

მარინე ჩიტაშვილი, რუსთაველის ეროვნული ფონდის დირექტორი: *„მკაცრი კომისია იყო, მაგალითად, შარშანდელი გრან-პრის მფლობელი მეორე ადგილზე გავიდა. მართალია, მან განავითარა თავისი პროექტი და წელს ბევრად უკეთესია, ვიდრე შარშან იყო, მაგრამ კომისიამ გადაწყვიტა, უპირატესობა მიეცა იმ პროექტებისთვის, რომლებიც ახალი და ინოვაციურია და რომლებმაც, შესაძლებელია, ეკონომიკური ეფექტის მომტანი უშუალო გავლენა იქონიონ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.“*

2010 წლიდან დღემდე „ლეონარდო და ვინჩის“ კონკურსში წარდგენილი იყო 326 საკონკურსო განაცხადი, გამარჯვებულია 49 პროექტი/გამოგონება.

შშმ ბავშვები

როცა სტიგმა განაჩენია
წავშალოთ ხაზი ჩვენსა და მათ შორის

ლალი ჯელაძე

რამდენად არიან დაცული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სტიგმისა და დისკრიმინაციისაგან საზოგადოებაში? – ამ თემაზე ფრონტლაინში დისკუსია გაიმართა. ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმებისა და მათი გამომწვევი მიზეზების გამოსაკვლევად, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა, გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით, წელს, თვისებრივი კვლევა ჩაატარა. გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები როგორიცაა ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ექსპერტული ინტერვიუები.

ჩატარდა სამი ექპერტული ინტერვიუ და15 ფოკუსჯგუფი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან – შშმ ბავშვებთან, მათ მშობლებთან, პედაგოგებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებთან და ა.შ.

იუნისეფის მხარდაჭერით განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ დიდია იმ სტიგმათა ჩამონათვალი, რომელიც შშმ ბავშვებს მიეწერებათ:

❖ შშმ ბავშვს არ შეუძლია საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის კეთება;

❖ შშმ ბავშვი საშიშია სხვა ბავშვებისთვის (მას შეუძლია ფიზიკური ზიანი მიაყენოს დანარჩენებს);

❖ შშმ ბავშვთან თანაარსებობა, თანაცხოვრება ჩვეულებრივი ბავშვების განვითარებას აფერხებს;

❖ შეზღუდული შესაძლებლობები გადამდებია და შშმ ბავშვთან კომუნიკაცია თავიდან უნდა აირიდოთ;

❖ მას არ შეუძლია საკუთარი თავის მოვლა;

❖ არ შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

❖ შშმ ბავშვები შეიძლება იყვნენ მხოლოდ სარგებლის მიმღებნი სახელმწიფოსგან, მათზე უნდა იზრუნო და მოუარო, თავად კი არ შეუძლიათ იყვნენ მზრუნველები სხვის მიმართ;

❖ მათ არ შეუძლიათ სოციალური სიკეთეები შექმნან სხვისთვის;

❖ შშმ ბავშვს არ შეუძლია სწავლა, მეცადინეობა, შესაბამისად, ის სკოლაში არ უნდა დადიოდეს;

❖ შშმ ბავშვს არ სჭირდება საჯარო სივრცეში დამოუკიდებლად გადაადგილება;

❖ ის ძალიან დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნება და გაჭირვებული ოჯახის წევრია;

❖ შშმ პირს არ შეუძლია და არ უნდა მართოს მანქანა;

❖ ის წინაპრების ან მისი მშობლების მიერ ჩადენილი ცოდვების შედეგია;

❖ შეზღუდული შესაძლებლობები გენეტიკური მოცემულობაა, რომელიც თაობათა ცვლაში მეორდება;

❖ შშმ ბავშვი უშნოა და ა.შ.

„ეს არის საქართველოში ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული სტიგმების ჩამონათვალი. რადგან თითოეული სტიგმის გავრცელების მასშტაბი და სოციალური წონადობა თვისებრივი კვლევით არ იზომება (ეს რაოდენობრივი კვლევის ფუნქციაა), არ შემიძლია გითხრათ, რამდენად მასშტაბური და გავრცელებულია თითოეული მათგანი და არის თუ არა მეინსტრიმული, მაგრამ ამ ტიპის სტიგმები რომ არსებობს, კვლევით გამოვლინდა.“ – აღნიშნა სოციოლოგმა, **იაგო კაჭკაჭიშვილმა**.

იუნისეფის მიერვე ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოში საზოგადოების 40 პროცენტს აქვს სტიგმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ. რაც შეეხება იმ განწყობებსა და დამოკიდებულებებს, რომელსაც საზოგადოების თითქმის ნახევარი ავლენს შშმ პირების მიმართ, თვისებრივი კვლევის შედეგად, ძირითადად, გამოიკვეთა სამი ტიპი. პირველი და ყველაზე გავრცელებულია ნეგატიური დამოკიდებულება ან გაუცხოება, რაც უმეტესად შშმ ბავშვების მიმართ აგრესიულ ქმედებაში ვლინდება; მეორე – შეცოდება ან სიბრალული და მესამე – პოზიტიური დისკრიმინაცია, რაც ასეთი ბავშვების მიმართ გადამეტებული ზრუნვით გამოიხატება.

იმ ოთხ ინსტიტუციათა შორის, რომელიც განსაკუთრებით წაახალისებს ბავშვთა სტიგმატიზაციას, დასახელდა: საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები და საბავშვო ბაღები), სამედიცინო დაწესებულებები, ოჯახი და საზოგადოებრივი, საჯარო სივრცე. თუ რა არის თითოეულ ინსტიტუციაში წამყვანი ტრენდი სტიგმატიზაციისათვის, ამის შესახებ იაგო კაჭკაჭიშვილმა ისაუბრა: *„სკოლებში წამყვანია პოზიტიური დისკრიმინაცია. აქ, ძირითადად, დამოკიდებულება ისეთია, რომ შშმ ბავშვები უუნაროები და საცოდავები არიან, საცოდავის წახალისება კი მაღალი ნიშნების დაწერით გამოიხატება (იმ შემთხვევაშიც, თუკი არ ეკუთვნით). იმის გამო, რომ შშმ პირები არიან, არ უნდა მოსთხოვო გაკვეთილის ცოდნა, უნდა ჩააყენო საცოდავ მდგომარეობაში, მოეფერო, სიბრალულის გამოსახატავად და სხვაც ატირო – ასეთი გადამეტებული მზურნველობაა ის ძირითადი დამოკიდებულება, რომელიც სასწავლო დაწესებულებებში ვლინდება და ეს არის სწორედ პოზიტიური დისკრიმინაცია.*

რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულებებს, აქ, ძირითადად, სტიგმატიზაცია უკავშირდება ასეთი ბავშვების, როგორც პაციენტების, მომსახურების არიდებას ან შიშს. ეს, რასაკვირველია, გამოწვეულია სამედიცინო პერსონალის დაბალი კომპეტენციით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ სათანადო ცოდნა, როგორ უმკურნალონ პირებს, არ იციან, რა მიდგომები არსებობს სამედიცინო სფეროში ასეთი პაციენტების მიმართ. ექიმები, შეძლებისდაგვარად, ცდილობენ თავი აარიდონ და სხვას გადააბარონ შშმ პაციენტი, რადგან ეშინიათ, სამედიცინო ჩარევამ სირთულეები არ გამოიწვიოს და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ამჯობინებენ. სამწუხაროა, რომ ოჯახზე სტიგმის გადაცემა სწორედ სამედიცინო პერსონალიდან ხდება.

ოჯახში კი სტიგმატიზაცია, ძირითადად, იმით გამოიხატება, რომ ოჯახის წევრებს, შშმ ბავშვის მიმართ, მიღწევის დაბალი მოლოდინები აქვთ, რადგან მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ეს ბავშვები გარკვეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისებას ან გარკვეულ საქმიანობას (ოჯახში ან ოჯახს გარეთ) ვერ მოახერხებენ. ეს შეიძლება დისკრიმინაციულ დამოკიდებულებად მივიჩნიოთ საკუთარი შვილის შესაძლებლობებისადმი, ამ შესაძლებლობების მოდიფიკაციის ან განვითარების მიმართ. მათგან რომ განსაკუთრებულ შედეგებს, უფრო სწორად, ჩვეულებრივი ბავშვისთვის დამახასიათებელ შედეგებს არ ელიან, ამას მიღწევის დაბალი მოლოდინი უნდა დავარქვათ.“

კვლევის მიხედვით, სტიგმატიზაციის გამომწვევი მიზეზების დაჯგუფება სამ კატეგორიად შეიძლება – ინსტიტუციური, კულტურული და სოციალური. სტიგმატიზაციის ინსტიტუციურ ფაქტორებს ბატონი იაგო საბჭოთა სეგრეგაციული ფორმატის ინერციად მიიჩნევს: *„მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა კავშირის დროს შშმ პირები (როგორც ბავშვები, ისე ზრდასრულები) დევიაციურ ჯგუფად განიხილებოდნენ და მათი კონსერვაცია ხდებოდა – სპეციალურ დაწესებულებებში განთავსება. მათ მიმართ ასეთი მიდგომა იყო: უნდა ჩამოვაშოროთ ოჯახს, რათა მშობლებს ხელი არ შევუშალოთ საბჭოთა კეთილდღეობის მშენებლობასა და აღმშენებლობაში, საზოგადოებისთვის სიკეთის შექმნაში. საზოგადოებისგან მთლიანად გარიყული და გადამალული ჯგუფი სოციალიზაციის პროცესში არ იყო ჩართული, როგორც ერთ-ერთი აქტორი.*

მეორე ინსტიტუციური ფაქტორია პროფესიული ჯგუფები: მასწავლებლები და პირველადი ჯანდაცვის ექიმები, მათი არაადეკვატური ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ და მისი მართვის დაბალი კვალიფიკაცია. რასაკვირველია, ინსტიტუციურ მიზეზს მიეკუთვნება ქვეყანაში არსებული სოციალური სერვისების სიმწირე იმ ოჯახებისთვის, სადაც შშმ ბავშვები ცხოვრობენ; ასევე სკოლებში სპეციალური სასწავლო პროგრამებისა და სპეციპედაგოგების ნაკლებობა ან მათი დაბალი კვალიფიკაცია. მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლება დაინერგა და, საპილოტე ეტაპიდან, უკვე საყოველთაო რეჟიმზე გადაინაცვლა. საკანონმდებლო დონეზე, ინკლუზიური განათლების ინსტიტუტი არსებობს, მაგრამ ფორმალურად. მართალია, სკოლას უფლება არ აქვს შშმ მოსწავლის სკოლაში მიიღებაზე უარი თქვას, მაგრამ, უმეტესწილად, მას ვერ სთავაზობს შესაბამის სერვისებს, ცხადია, ეს არის გამოშიგნული ფორმალობა. სპეციპედაგოგებს, როგორც წესი, აკლიათ კვალიფიკაცია, ზოგ სკოლას საკმარისი რაოდენობის პედაგოგი არ ჰყავს ან სასწავლო პროგრამები არ არის მოდიფიცირებული და ინდივიდუალურად შშმ მოსწავლეზე მორგებული. ამას ჩვენ მიერ ჩატარებული სხვა კვლევებიც ადასტურებს.

კიდევ ერთი ფაქტორი გახლავთ მოუწყობელი ინფრასტრუქტურა. ეს პრობლემა სასწავლო დაწესებულებების ნაწილში ჯერ კიდევ არსებობს, ნაწილში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. როგორც ჩანს, ეს ცოტაა და ჩვენ კვლავ ვერ ვხედავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჯარო სივრცეებში, ქუჩებში, დაწესებულებებში და ა.შ. მათი ადგილი ჯერ კიდევ სახლია, როგორც ციხის ალტერნატივა.“

სტიგმატიზაციის კულტურული მიზეზებიდან, სოციოლოგი, პირველ რიგში, საქართველოში არსებულ აღზრდის კულტურას ასახელებს, რომელიც უფრო მეტად შეზღუდვებზეა ორიენტირებული, ვიდრე ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაზე – ბავშვს, პირველ რიგში, იმას ვასწავლით, რა არ უნდა გააკეთოს და არა იმას, რისი გაკეთება შეუძლია. სტიგმატიზაციის კულტურულ ფაქტორებში, ასევე, განიხილება მშობელთა გარკვეული ნაწილის მიდგომა, რომლის თანახმადაც, ასეთი შვილი მხოლოდ ზრუნვის და მოვლის ობიექტია, რომელსაც დამოუკიდებლად გადაწვეტილების მიღებაც კი არ შეუძლია, არათუ საკუთარ თავზე ან სხვაზე ზრუნვა. *„სწორედ ასეთი მიდგომის გამო, ბავშვი მშობელზე, განსაკუთრებით დედაზე, ბევრად დიდხანს არის დამოკიდებული, ვიდრე ამის საჭიროებაა. ამიტომაც ბავშვები ხდებიან ასოციალურები და მათი არსებობა მხოლოდ სხვაზეა დამოკიდებული“* – ამბობს ბატონი იაგო. ის კულტურულ მიზეზს მიაკუთვნებს შშმ ბავშვთა მიმართ გაუცხოებასაც, როცა ადამიანები ფიქრობენ, რომ შშმ ბავშვთან ურთიერთობა საშიშია და რომ შეზღუდული შესაძლებლობები გადამდებია.

რაც შეეხება სტიგმატიზაციის სოციალურ მიზეზებს, ამ შემთხვევაში, უმთავრესი შშმ ბავშვთა საკითხებისა და პრობლემების შესახებ საზოგადოების დაბალი ცნობადობაა. სამწუხაროდ, დაბალი ცნობიერება ვლინდება არა მხოლოდ რიგით მოქალექეებში, არამედ თავად შშმ ბავშვების ოჯახის წევრებშიც. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგანაც საზოგადოებაში სწორედ ის იწვევს იმ არასწორ ინტერპრეტაციებსა და წარმოდგენებს შშმ ბავშვთა მიმართ, რომელიც შესაძლოა დისკრიმინაციულ აზროვნებად მივიჩნიოთ – მათ შიშით უყურებენ და ფიქრობენ, რომ თავისუფალი აქტივობების შესაძლებლობა არ უნდა მიეცეთ. საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ არსებული მახინჯი წარმოდგენები, თავისთავად, სოციალურ დონეზეც აისახება და სამწუხაროდ, დისკრიმინაციულ ფორმებადაც ვლინდება.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ შშმ ბავშვთა მშობლები: ლია ტაბატაძე და თამუნა იარაჯული, რომლებმაც ამ პრობლემასთან პირისპირ აღმოჩენის შემდეგ, შვილების დასაცავად დაიწყეს ჩვენს საზოგადოებაში არსებული სტიგმების წინააღმდეგ ბრძოლა – მოძრაობა ცვლილებებისთვის. საკუთარ მაგალითზე დაყრდნობით, მათ იმ რთულ რეალობაზე ისაუბრეს, რომელშიც შვილებთან ერთად, ყოველდღიური ბრძოლა უწევთ ყოველ ფეხის ნაბიჯზე არსებულ პრობლემებთან გასამკლავებლად.

ლია ტაბატაძე: „შშმ პირთა და მათ მშობელთა ორგანიზაციის ქსელი – მოძრაობა ცვლილებებისთვის“: *„სტიგმასთან შეხება, როგორც შშმ ბავშვის მშობელს, ყოველდღიურ ცხოვრებაში მაქვს. პრინციპში, ჩემი მასთან შეხება იმ წამიდან დაიწყო, როცა ბავშვი გაჩნდა. გარშემო შექმნილმა აჟიოტაჟმა მაშინვე გამოიწვია ჩემში უარყოფითი დამოკიდებულება, პირველ რიგში, სამედიცინო პერსონალისადმი. დედას სხვაგვარად უნდა მიანოდონ ინფორმაცია შვილის დიაგნოზის შესახებ და არა ისე, როგორც ეს ჩემ შემთხვევაში მოხდა. სამწუხაროდ, ახლაც ასე ხდება. საუკეთესო შემთხვევაა, თუ არავინ გირჩევს, რომ ბავშვი სამშობიაროში დატოვო. მოლოცვით კი არავინ გილოცავს მის დაბადებას. აუცილებლად ნეგატიურ კონტექსტში გეძლევა ინფორმაცია მისი ამქვეყნად მოვლინების შესახებ, ტექსტით: „ეს რა საშინელება დაგემართა!“. სწორი მიდგომა აქედან უნდა დაიწყოს და ამაზე აუცილებლად ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა იმუშაოს. რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ბავშვის გაჩენას მოჰყვება სტრესი, მაგრამ არა ისეთი, როგორც ჩვენს რეალობაშია – ხარ გამოუვალ მდგომარეობაში მშობელი და ეს, თითქოს, დასასრულია. პირადად მეც შევეცადე, შემენარჩუნებინა სიმშვიდე, მაგრამ ექიმების მხრიდან იმდენ არაკვალიფიციურობას შევეჩეხე, რომ ეს რთული აღმოჩნდა. ბავშვის ზრდასთან ერთად ეს პრობლემა კიდევ უფრო გამოიკვეთა, რადგანაც მათ, ხშირ შემთხვევაში, არ იციან დაუნის სინდრომის მართვა.*

ჩემი პირველი პროტესტიც სწორედ სამედიცინო პერსონალიდან წამოსულ სტიგმასთან შეჯახებამ გამოიწვია და ასე მოვდივარ დღემდე, ჩემი გოგონა უკვე 6 წლისაა. ჩავები სტიგმასთან ბრძოლის ფერხულში და მიხარია, რომ, ამ ხნის განმავლობაში, ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ მე და ბევრმა ჩემს მდგომარეობაში მყოფმა მშობელმა. ჩვენ ერთმანეთი სოციალური ქსელის მეშვეობით ვიპოვეთ. მას შემდეგ ერთმანეთს ვაძლიერებთ და ვაწვდით ინფორმაციას დანარჩენებს.

დავიწყეთ მუშაობა იმაზე, რომ სამედიცინო პერსონალს ჰქონდეს ინფორმაცია – რა ასაკში რა ჩარევაა მიზანშეწონილი. გავაკეთეთ გაიდლაინი, რომელიც ძლივს დავამტკიცებინეთ ჯანდაცვის სამინისტროს. რადგან მშობელთა ორგანიზაცია ვართ, არასერიოზულად აღგვიქვამდნენ. დიდხანს ვიბრძოლეთ ამისთვის, პროცესში სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, კვლევებზე დაფუძნებული კომპეტენტური დასკვნებით, ჩავრთეთ, რომ დაგვემტკიცებინა ჩვენი მოთხოვნის სისწორე. რაც მთავარია, გაიდლაინი დაამტკიცეს. ახლა იმაზე გვიწევს ბრძოლა, რომ გამზადებული პროტოკოლი გამოიყენონ. ესეც პრობლემაა – სამედიცინო პერსონალმა არსებული ინფორმაცია საჭირო დროს და საჭირო ადგილას გამოიყენოს. არადა, ყველაფერი, თავისთავად უნდა ხდებოდეს. თუკი ვინმეს პროფესიონა-

შშმ ბავშვები

ლიზმზე აქვს პრეტენზია, ის აუცილებლად მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. ეს, რაც შეეხება სამედიცინო პერსონალს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე იგივე პრობლემებია ბაღშიც, სკოლაშიც, ქუჩაშიც და ყოველ ნაბიჯზე, სადაც შშმ ბავშვს უწევს ყოფნა.“

თამუნა იარაჯული – „საერთაშორისო დემოკრატიული ცენტრი“: *„სექტემბრიდან დაიწყო ჩემმა შვილმა სკოლაში სიარული და, თავისთავად, სკოლაში არსებულ პრობლემებს მაშინ შევეჯახე. გადამეტების გარეშე გეტყვით, მას შემდეგ, რაც ჩემს შვილს დიაგნოზი დაუსვეს, აბსოლუტურად სხვა სამყაროში ვცხოვრობ. მარტო ჩემი შვილი კი არა, მეც გარიყული აღმოვჩნდი საზოგადოებისგან. ნაწილისგან სიბრალულს ვგრძნობ, ნაწილისგან – მიუღებლობას და აგრესიას. თუმცა, დღეს, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, ისიც ჩვენი დამსახურებით. სტიგმას ვაწყდებით ტრანსპორტში, სკოლაში, ქუჩაში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, სადაც გვიწევს ყოფნა. ჩემი შვილი არაერთხელ გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი. მაგრამ, როცა ამას საჯაროდ ვახმოვანებ, არ სჯერათ. მაგალითად, როცა ვყვებით ტრანსპორტში მომხდარი შემთხვევების შესახებ, რომელსაც საზოგადოების მხრიდან აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ამას ან სიბრალული მოჰყვება ან საშინელი აგრესია: „შენი შვილი თუ გიჟია, სახლში დასვი!“ საშინელი ფაქტის მომსწრე გავხდი სკოლაში, როცა ჩემს შვილს პედაგოგთა 80 პროცენტი დაუპირისპირდა. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდად ვცდილობდი გამერკვია, რა შეემთხვა მას, პედაგოგების მხრიდან საპასუხოდ ისეთი აგრესია წამოვიდა, ვერც კი წარმოიდგენთ. ჩემმა შვილმა ხომ უნდა გააგრძელოს ამ ქვეყანაში ცხოვრება? ვფიქრობ, დისკრიმინაციაზე მეტია, რასაც მასწავლებლები ამბობდნენ: „გიჟია“, „არ ვიცოდით, რომ ასეთი იყო“, „ეს რომ გვცოდნოდა, არ მივიღებდით სკოლაში“ და ა.შ. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვს ხშირად გარეგნულად არ ეტყობა დიაგნოზი, მაგრამ როცა ეს მათ ქცევაში ვლინდება, გარშემომყოფები უზრდელად მიიჩნევენ ან, სამწუხაროდ, ისეთ შეფასებებს აძლევენ, როგორიც ჩემს შვილს მისცეს. ვფიქრობ, საზოგადოება არ არის მზად, მიიღოს ისინი სრულფასოვან წევრად.“*

რა უნდა გაკეთდეს, რომ ამ მოცემულობით ეფექტიან შედეგზე გავიდეთ? – ამ კითხვას **ანა არგანაშვილის** („პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ წარმომადგენელი) საკმაოდ ემოციური პასუხი მოჰყვა: *„მართალია, კანონი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მივიღეთ, მაგრამ მაინც არაფერი იცვლება. როცა ადამიანის დაცინვა, გარიყვა სირცხვილი და მიუღებელი ქცევა არ არის, როცა თავზარი არ გვეცემა, ჩვენ თვალწინ რომ აგდებენ ბავშვს ავტობუსიდან იმის გამო, რომ შშმ პირია, მართლა ძალიან სერიოზული პრობლემები გვაქვს, მეტიც, საზოგადოებას გვაქვს შესაძლებლობები შეზღუდული.“*

მისი აზრით, სტიგმის ბევრი საინტერესო ფორმა დასახელდა, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა, მაგრამ საზოგადოებაში გაცილებით მეტია გამოვლენილი. *„ვფიქრობ, ვიდრე სტიგმად ჩამოყალიბდება, მანამდე უნდა დავიწყოთ სტერეოტიპებისა და არასწორი ინფორმაციის გამოვლენა და მხილება. ჩვენ, საზოგადოებამ, უნდა ვაწარმოოთ კამპანია არასწორი შეხედულებების გამოსავლენად. ახლა რასაც ვლაპარაკობ, ესეც ხომ არ არის სტიგმა? ამაზეც ვიფიქროთ, თუ არასწორია, რასაც ვამბობ, უნდა შემისწოროთ. მერწმუნეთ, ასეთი მიდგომით თავიდან ავიშორებთ ძალიან ბევრი სტერეოტიპის სტიგმად ჩამოყალიბებას და შემდეგ მის გავრცელებას. უვნებელი სტიგმა არ არსებობს, ის ბევრად უფრო მავნეა, ვიდრე აღქმულია. მათ უკან იკითხება ქვეტექსტი: „ის საწყალია და რადგან საწყალია, მას უნდა შეეზღუდოს გარკვეული უფლებები“. ეს ძალიან მავნე პროდუქტია. პირველ რიგში, ასეთი ქვეტექსტი მიმართულია კანონის წინააღმდეგ, რომელიც 2 წლის წინ მივიღეთ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონში პირდაპირ წერია, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას, მესამე პირის მიმართ განახორციელოს დისკრიმინაცია, კანონით ისჯება. სინამდვილეში, როცა სტიგმას ასე „ვაყვავებთ“ და ვავრცელებთ, კანონის ფარგლებში კი ვექცევით, მაგრამ ერთი ნაბიჯია დარჩენილი დისკრიმინაციამდე, რომლის შემდეგაც აუცილებლად მივა საქმე სასამართლოში, რასაც შემდეგ მოჰყვება სანქციაც და ზიანის ანაზღაურებაც. სტიგმა გადამდებია და ერთი ნაბიჯი აშორებს დისკრიმინაციას.*

რა შეიძლება გავაკეთოთ? მზა რეცეპტები არ არსებობს, თუმცა არსებობს სტიგმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კამპანიები, რომელიც ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ. პირველ რიგში, პრობლემა გვაქვს ტერმინთან. როცა ვამბობთ – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, არ უნდა ვიგულისხმოთ შეზღუდული უნარები, რომელიც ადამიანშია, არამედ ის შეზღუდული შესაძლებლობები, რომელიც მათ გარემოში შეეზღუდათ. ამიტომ კონკრეტულ ადამიანზე საუბრისას, უმჯობესია, იმ უნარების შეზღუდვაზე გავაკეთოთ აქცენტი, რომელიც მას გარემომ შეუზღუდა: მაგალითად, ქორწინებაშეზღუდულია, ტრანსპორტშეზღუდულია, განათლებაშეზღუდულია, საქმიანობა შეზღუდულია, დასაქმებაშეზღუდულია და არა – უნარშეზღუდული!

ანა არგანაშვილი ხაზს უსვამს სახელმწიფო სტრუქტურების ძალიან ცუდ მასტიმულირებელ როლსაც და მიიჩნევს, რომ მშობლებს სტიგმის გაძლიერება სწორედ ამ მიზეზით უწევთ, რადგან სახელმწიფო მათ, თანასწორობის სანაცვლოდ, თანასწორობის ხაფანგს სთავაზობს. *„იმისთვის, რომ მშობლებში გაიზარდოს მოლოდინი ბავშვის მიმართ, უნდა ჰქონდეთ ამის შესაძლებლობა გარემოში, სადაც უწევთ ყოფნა – სკოლაში, ბაღში, სამედიცინო დაწესებულებაში და ა.შ. სახელმწიფო მათ ეუბნება – კი, ბატონო, თუკი შეძლებს თქვენი შვილი და არაფერი სჭირს, ისწავლოს ჩვეულებრივ სკოლაში, მიიყვანე, ვინ დაგიშალა? მშობელი ფიქრობს, მე თუ ვიტყვი, რომ ჩემს შვილს არაფერი სჭირს, მაშინ აღარ მისცემენ საჭირო სერვისს. ამიტომ უნდა იწუწუნოს, რადგან სახელმწიფო უბიძგებს, ბევრად უფრო დაამძიმოს მდგომარეობა – ესაა თანასწორობის ხაფანგი. კანონში წერია: იმისთვის, რომ ბავშვმა შშმ პირის სტატუსი მიიღოს, მან სიმპტომები უნდა გამოაჩინოს, შეტევა მოუვიდეს და ა.შ. სამწუხაროდ, მშობელი ცდილობს, ყველა გზით მოიპოვოს შვილისთვის საჭირო სერვისი. სახელმწიფო აიძულებს, ღირსებას გადააბიჯოს და ასჯერ ითხოვოს, მისცენ მის შვილს განათლების უფლება... მისცენ ის აუცილებელი სერვისები, რომლის გარეშეც ვერ შეძლებს განვითარებას. აი, აქ ვგრძნობ ყველაზე მეტად სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.“* – ამბობს ანა არგანაშვილი და პრობლემის კლასიკურად გადაჭრის გზად შეზღუდული შესაძლებლობების მრავალფეროვნების ნაწილად აღქმას ასახელებს და მოუწოდებს საზოგადოებას: *„არ დავუშვათ მხარეებად გამყოფი ხაზი. ვიფიქროთ, რომ ყველა ერთმანეთისგან განსხვავებულია არა მარტო შესაძლებლობებით, არამედ ფერით, შეხედულებებით და ა.შ. და თუ ასეთია მრავალფეროვნება, მაშინ ის მისაღებია. ამიტომ წავშალოთ ხაზი ჩვენსა და მათ შორის.“*

სასკოლო აქტივობა

წაჩხურა – ჩვენი სიამაყე

სალხინოს საჯარო სკოლის მოსწავლეები, ნიკო კეცხოველის 2017 წლის პრემიის მოსაპოვებლად, ჩავებით კონკურსში, რომლის მიზანია გარემოს დაცვითი განათლების ხელშეწყობა. კონკურსის ფარგლებში, დაგეგმილია მოსწავლეთა და პედაგოგთა გააქტიურება, ამ მიმართულებით შევქმენით სკოლის გუნდი „სალხინო“, რომელშიც გაერთიანდა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემებით დაინტერესებული 15 მოსწავლე და 5 მასწავლებელი.

ჩვენი სლოგანია: „სუფთა წაჩხურა – სუფთა გარემო“.

ამ კუთხით არსებული პრობლემების შესახებ ვესაუბრეთ სოფლის უხუცესს, 95 წლის ბატონ **შალვა სხულუხიას**, რომელიც ანკესით კალმახის ჭერის ოსტატია. *„ვწუხვარ, რომ დღეს აკრძალული მეთოდით ანადგურებენ ამ უნიკალური თევზის ჯიშს. დროულია ახალგაზრდების ინიციატივა, იხსნან მდინარე დაბინძურებისგან, თევზი – ბრაკონიერებისგან. გირჩევთ, ამ ღონისძიებაში ჩართოთ მოსახლეობა, სპეციალისტები. ამით უთუოდ უკეთეს შედეგს მიიღებთ“* – გვითხრა ბატონმა შალვამ.

„მდინარე წაჩხურა სალხინოში, ქვიბიის მთებში დაბადებული, ყინულივით ცივი, წმინდა და კამკამაა. სალხინოს ტერიტორიაზე 11.5 კმ-ს მანძილზე მოედინება, მერე უერთდება მდინარე ტეხურას და ისევ სალხინოში მთავრდება. წაჩხურას ვიწრო, კლდოვანი ხევიდან გამოსვლამდე, აქვს ლამაზი, მიმზიდველი ხეობა. ზაფხულობით აქ ადამიანს ბზის ხავერდოვანი სიმწვანით შემკობილი ნაპირები, სასიამოვნო ჰაერი და წყლის ჩუხჩუხი ატკბობს. მდინარის წყალს მოსახლეობა დასალევადაც იყენებს. ასეთია ზამთარ-თბილი, ზაფხულ-ცივი ჩვენი წაჩხურა. როგორც კი დასახლებულ ზონაში ჩამოედინება, ადგილი აქვს მისი დაბინძურების შემთხვევებს, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მდინარის სანაპიროზე დადგმული აქვს დამხმარე ნაგებობები. ცხადია, მდინარე ბინძურდება და დასალევად უვარგისი ხდება“ – გვიყვება წაჩხურის სანაპიროზე მცხოვრები **გელა ცაავა**.

გუნდის წევრებმა გადავწყვიტეთ, დაგვესუფთავებინა მდინარის სანაპიროები. ამ მიზნით, მოსახლეობას გავაცანით ჩვენი გეგმა და მათთან ერთად დავასუფთავეთ სანაპირო, შემდეგ კი გავაფრთხილეთ, რომ მდინარეში აღარ გადაეყარათ ნაგავი და გაფრთხილებაზე ინდივიდუალურად მოვაწერინეთ ხელი. ამასთანავე, გავავრცელეთ საინფორმაციო ბუკლეტი, რომ ბრაკონიერების აღმოჩენის შემთხვევაში ვაცნობებდით სამართალდამცავ ორგანოებს.

ჩატარებული მუშაობის შესახებ ვაცნობეთ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის რწმუნებულს სოფელ სალხინოში. ვთხოვეთ, ჩვენთან ერთად მიიღონ მონაწილეობა მსგავს ღონისძიებებში, ამასთანავე, მოგვაწოდონ ინფორმაცია ამ მიმართულებით მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ენვერ ბასილაია
სალხინოს საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, გუნდის „სალხინო“ ლიდერი

ეს ჩემი სკოლის ეზოა

თბილისის №144 საჯარო სკოლა (დირექტორის მ.შ. – **მანანა ჩარგეიშვილი**) პროექტებსა და კონკურსებში აქტიური მონაწილეობით გამოირჩევა. ეკოკლუბის წევრებმა, ჩემი ხელმძღვანელობით, შეისწავლეს სკოლის ეზოს მწვანე რეკრეაციული ზონა, სადაც მრავლადაა გაშენებული მარადმწვანე წიწვოვანი ხეები. პრობლემის შესწავლისას გაირკვა, რომ ტერიტორიას რეაბილიტაცია სჭირდებოდა. ეკოკლუბის წევრები ჩაერთვნენ USAID-ის პროექტში „ისწავლე, გაუზიარე, გააკეთე უფრო მეტი მწვანე თბილისისთვის“, რომელიც დაგვეხმარება აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. ამ პროექტის ფარგლებში, განვახორციელეთ ერთდღიანი ტური (ქვეპროექტი – „ერთი დღე რეინჯერთან“) ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიაზე – ქვაბისხევსა და მწვანე მონასტერში. ეკოკლუბის ნევრები გაეცნენ რეინჯერების გამოცდილებას, „მწვანე პატრულირების“ დანერგვის გზით, სკოლის ტერიტორიაზე დასარგავი ნორჩი კიპარუსის ნერგების მოვლისა და დაცვის მიზნით.

14 ნოემბერს სკოლაში განხორციელდა ხის დარგვის აქცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ეგიდით. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს აქციაში, „მწვანე სახლის“ პროფესიონალი წევრებისაგან ხის დარგვისა და მოვლის უნარ-ჩვევები შეისწავლეს და პრაქტიკულად განახორციელეს. აქციაში გამორჩეულები იყვნენ სკოლის პირველკლასელები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხის დარგვაში და პირობა დადეს, რომ სკოლის დამთავრებამდე იზრუნებენ ამ ნარგავების მოვლა-პატრონობაზე.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მრავალფეროვანი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს სკოლას რეკრეაციული ზონის რეაბილიტაციაში. თქვენი გაზეთის მეშვეობით, მადლობა გვინდა გადავუხადოთ კრწანისის რაიონის გამგეობას და ყველა პარტნიორ ორგანიზაციას, ვინც მიმდინარე პროექტის განხორციელებაში გვეხმარება.

ლალი ედიბერიძე
თბილისის №144 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

სტუმრად ნიღბების თეატრში

გასული სასწავლო წლის ნოემბერში იმერეთის რეგიონის სამი სკოლა: სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო (დირექტორი – **თეა ჩხეტია**), სსიპ ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის (დირექტორი – **ნინო კოტორეიშვილი**) და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის შოთა ნიშნიანიძის სახელობის საჯარო (დირექტორი – **მამუკა ქვაჩაკიძე**) სკოლები ჩაერთნენ კვლევით პროექტში – „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს“ (ინკლუზიური განათლება და საზოგადოება). მიმდინარე წელს, დამეგობრებულმა სკოლებმა გავაგრძელეთ ერთი წლის წინ დაწყებულ პროექტზე მუშაობა. ამ მიზნით, 3 ნოემბერს, სამივე სკოლის წარმომადგენლობა, სპეციალური მასწავლებლების – **მზია ზარნაძის**, **იზოლდა აფრიდონიძის** და **მარინე იოსებაშვილის** ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ერთად, კოლექტიურად ვეწვიეთ ქუთაისის ნიღბების თეატრს. ეს იყო ერთი ლამაზი და დაუვიწყარი დღე, რომელმაც დიდი აღტაცება და ბედნიერება მოუტანა ამ სკოლების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელებს. მოსწავლეებზე განსაკუთრებით წარუშლელი შთაბეჭილება მოახდინა ნიღბების თეატრის „ჯადოსნურმა“ გარემომ: საბავშვო ატრაქციონებმა, მიკროსპორტული კომპლექსის სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო საშუალებებმა, თეატრის ზღაპრულ ფერებში მორთულმა ინტერიერმა და მსახიობების მიერ მაღალ დონეზე წარმოდგენილმა სპექტაკლმა „ჯამბაზი მოხუცი“.

სპექტაკლის მოქმედი გმირებით მოხიბლულ და აღფრთოვანებულ აღსაზრდელებს უჭირდათ განცდილი ემოციებისა და დიდი სიხარულის დაფარვა, მუსიკის ფონზე, შეძახილებით და გაბმული ტაშით, ეხმიანებოდნენ მოქმედ გმირებს: ბაბუს, შვილიშვილს, თაგუნას და ფისოს. ადგილიდან ეხმარებოდნენ თაგუნას და ფისოს ერთმანეთის პოვნაში, ბოლოს აპოვნინეს კიდეც, დაამეგობრეს და ძლიერ გაიხარეს. შთაგონებით მოისმინეს მოხუცი ჯამბაზის ნათქვამი დასკვნითი სიტყვები: „მეგობრობა და სიყვარული ყველაზე დიდებული გრძნობაა, ამით ჩვენ ყველა პრობლემას დავამარცხებთ და ულევ ბედნიერებას მოვიპოვებთ“.

დამთავრდა თუ არა სპექტაკლი, აღსაზრდელები გახარებული აიჭრნენ სცენაზე, ახლა უკვე გვერდიგვერდ მდგომები, გაკვირვებით შესცქეროდენ სპექტაკლის მოქმედ გმირებს – თაგუნას და ფისოს, ესაუბრებოდნენ მოხუც ჯამბაზს და შვილიშვილს, მათთან სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს დარბაზში, ფოიეში და თეატრის ეზოში მდებარე გალაკტიონის ძეგლთან. შემდეგ კი გართობა საბავშვო ატრაქციონებზე გააგრძელეს.

ქუთაისის „ნიღბების თეატრში“ გატარებული ერთი დღე პარტნიორი სკოლების მოსწავლეებისათვის ერთმანეთის უკეთ გაცნობის და დამეგობრების ჭეშმარიტი დღესასწაული იყო. ამასთან, ცხადია ისიც, რომ რეალურად ნანახი და განცდილი სანახაობითი ღონისძიებები მოსწავლეებში შემოქმედებით აზროვნებას აღვივებს და, რაც ყველაზე მთავარია, უვითარებს შესაძლებლობებსა და უნარებს. ამიტომ, პროექტის ხელმძღვანელები მომავალშიც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სასკოლო ცხოვრებაში მაქსიმალურად დანერგონ ევროპული ღირებულებები.

პროექტი „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს“ (ინკლუზიური განათლება და საზოგადოება) გრძელდება. ამჯერად აღნიშნული სკოლების სსსმ მოსწავლეები საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრებს მუზეუმებსა და გალერეებში გააგრძელებენ, სადაც დაგეგმილია ცნობილ ფოტოხელოვანთა და მხატვართა ნამუშევრების გამოფენები.

მზია ზარნაძე
სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

P.S. არ დამავიწყდება ჩემი მოსწავლის გაცისკროვნებული თვალებით და მავედრებელი სახით წარმოთქმული სიტყვები: „მასწავლებელო, დათვი რომ იქნება, ისეთ სპექტაკლზე ხომ კიდევ წამომიყვან?“ წამოგიყვანმეთქი, დავპირდი „გუგაჩოს“ (ჩემს მოსწავლეს). დამატებით იმასაც დავპირდი, რომ „დათვს“ აუცილებლად მოგიწვევ მშობლიურ მერვე სკოლაში, გაგაცნობ და დავათვალიერებინებ რესურსოთახში შენს სურათებს, ნახატებს, ნაძერწებს, ნაწერებს და ყველა შენს ნამუშევარს-მეთქი.

გუგა უკვე განსაკუთრებული მონდომებით მუშაობს რესურსოთახში თავისი ნამუშევრების წარმოჩენაზე და ოცნებობს იმ დღეზე, როდის შევახვედრებ დათვს და როდის წავიყვან ახალ სპექტაკლზე. მან კარგად იცის, რომ არასოდეს ვატყუებ.

საზეიმო ღონისძიება

27 ოქტომბერს, მესტიის №3 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ნათია ჯაფარიძე**), იაკობ გოგებაშვილის დაბადების 176-ე და „დედაენის“ 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. უფრო ზუსტად, ეს იმ კვირეულის შემაჯამებელი დღე იყო, რომელიც საქართველოს პედაგოგთა კავშირის დებულებით ჩატარდა ამ მნიშვნელოვანი თარიღების აღსანიშნავად. ბუნებრივია, რომ ღონისძიებების მონაწილეები I-VI კლასების მოსწავლეები იყვნენ, სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრამ კი (მასწავლებლები: **ეთერ გვარლიანი**, **ეკა ნაკანი**, **ნანა ფალიანი**, **დოდო მერლანი**) ერთობლივად დაგეგმა და მოამზადა კვირეული. განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა გოგებაშვილის მოთხრობებზე შექმნილი ილუსტრაციები, რომელთა შორის საუკეთესოები პედაგოგთა კავშირში გაიგზავნა კონკურსში მონაწილეობისთვის. ამ დღეს დავაჯილდოვეთ საზრიანთა და გონებამახვილთა კონკურსში გამარჯვებული **კახა გოშთელიანი** (I კლასი) და **გიორგი გულედანი** (VI კლასი); მხატვრულ კითხვაში მოწონება დაიმსახურეს და საინტერესო ჩანახატები წარმოადგინეს: **გოგა გულედანმა** (IV კლასი), **ალექსანდრე ჯაფარიძემ** (IV კლასი), **ანანო გულედანმა** (III კლასი) და **გიორგი გულედანმა** (VI); ისმოდა ლექსები, ანდაზები და მოთხრობები გოგებაშვილის შემოქმედებიდან.

ჩვენი მიზანი იყო, გასაგები ენით აგვეხსნა პატარებისთვის „დედაენის“ შემქმნელის ღვაწლი და დამსახურება ქვეყნის წინაშე, მათ კი, გოგებაშვილის მოთხრობების, ლექსებისა თუ ანდაზების მოშველიებით თავად გვიჩვენეს სწავლისა და შრომის მნიშვნელობა, სიკეთისა და მეგობრობის ძალა, ბევრი რამ გაიგეს და გაიაზრეს კვირეულის განმავლობაში, გაიხარეს კონკურსში გამარჯვებითა და საჩუქრებით.

ეთერ გვარლიანი

სჯობს სახელისა მოხვეჭა...

2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღვნიშნეთ ჩვენი საამაყო შვილის საიუბილეო წლისთავი.

განუზომელია შოთა რუსთაველის სიტყვის ძალა. მისმა პოემამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. მათ, ძნელბედობის ჟამს, ბრძოლასა და ქარცეცხლში უბით დაჰქონდათ, ხოლო როდესაც მტერმა განადგურება დაუპირა ქმნილებას, ზეპირად სწავლობდა, რათა შთამომავლობისთვის გადაეცა.

„ვეფხისტყაოსანი“ იყო და არის ჩვენი ცოდნისა და განათლების საზომი. ეს კარგად ვიცით სსიპ ჭიათურის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. ამიტომ ჩავერთეთ საქალაქო პროექტში „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“; სკოლაში გამოვეცით ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, დავამზადეთ სტენდი, რომელსაც ამშვენებს ვაჟა-ფშაველას სიტყვები „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო – იგივე „ვეფხისტყაოსანი“. ჩავატარეთ ვიქტორინა-კონკურსი „ვინ მეტი იცის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და სხვ.

ერთმანეთს დაემთხვა ქართველი ერის სულიერი მისწრაფებანი და შოთა რუსთაველის ესთეტიკური იდეები, რამაც „ვეფხისტყაოსანს“ იშვიათი პოპულარობა მოუპოვა, ხოლო მის ავტორს – უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. ამიტომაც იგი არა მარტო ქართველი ერის სიმდიდრეა, არამედ მსოფლიო კულტურის უდიდესი საგანძური.

თამარ ჯაფარიძე
სკოლის დირექტორი

ნიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

ნიგნი I ძველი ქართული მწერლობა

ნიგნი II „ვეფხისტყაოსანი“

ნიგნი III XIX საუკუნის მწერლობა

ნიგნი IV XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „რა არის რა“

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები



ევროპა

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია



ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები



უძველესი ადამიანი

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პრობლემით მათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. მაღალფხვიერი ფენის ქვეშ მოთავსებულია ენციკლოპედიური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც მათთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს რამდენჯერაც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

კრებულის ფასი – 9.90ლ

ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით მათვალისწინებული მრავალტიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის მათვალისწინებით.

სერიის ფასი – 30.40ლ

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და გუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6,50 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

პატარა ისტორიები

ორასზე მეტი ცნობილი მწერალი, დრამატურგი და პოეტი გაერთიანდა ამ კვირაში გლობალურ ლიტერატურულ კამპანიაში, დაახლოებით შვიდსტრიქონიანი „პატარა ისტორიების“ დასაწერად, რომლებიც ბავშვთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნება და ყურადღებას გაამახვილებს იმ უსამართლობაზე, რასაც ჯერ კიდევ აწყდება მსოფლიოს უამრავი უღარიბესი და ყველაზე დაუცველი ბავშვი. პატარა ისტორიების კამპანიით იწყება გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) დაარსებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებები მსოფლიოს მასშტაბით.

პატარა ისტორიებს თემაზე „რას ვისურვებდი თითოეული ბავშვისთვის“, სოციალური მედიის საკუთარი გვერდების საშუალებით, გაავრცელებენ მსოფლიოს ცნობილი მწერლები. აღნიშნული იდეა ფინეთის პირველ ლედის, იენი ჰაუკიოს ეკუთვნის, ლიტერატურულ კამპანიას ქართველი მწერლებიც შეუერთდნენ.

გიორგი ლოგჟანიძე

როცა პატარა ვიყავი და მშობლებიც ჯერ კიდევ მყავდა, ერთ-ერთ ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლში შეხვედრა მომიწყვეს. შეხვედრისას ერთმა იქაურმა გოგონამ მოულოდნელი შეკითხვა დამისვა: შენ იცხოვრებდი ჩვენნაირ სახლში? შეხვედრაზე უფროსი და მახლდა და დღემდე მახსოვს მისი დაძაბული და აფორიაქებული მზერა, ვიდრე იმ გოგონას პასუხი გავეცი: რატომაც არა! რითია თქვენი სახლი ცუდი! ერთმანეთი ხომ გყავთ და მთავარი ეს არის-მეთქი. იმ შეხვედრიდან სულ ცოტა ხანში ყველაფერი ისე აეწყო, რომ უდედმამოდ დავრჩი და ჩემზე ზრუნვა, ძირითადად, სწორედ იმ ჩემს უფროს დას მოუწია, შეხვედრიდან წამოსულს რომ მკოცნიდა და ტიროდა: რა კარგი ბიჭი ხარ, ჩემო გულიანო, რომ იმ ბავშვს გული არ მოუკალიო.

ყველა ბავშვისათვის იმას ვისურვებ, რასაც ჩემივე შვილებისთვის. სულაც არ არის ეს პათეტიკური ნათქვამი. ყველა ბავშვი, სულ მცირე, იმას იმსახურებს, რომ გვერდით ჰყავდეს დედა და მამა, არ შიოდეს, არ სცივოდეს, ჰქონდეს ჰარმონიული განვითარების საშუალება. ვწერ ამას და თვალწინ მიდგანან ბავშვები ახლო აღმოსავლეთიდან, ბავშვები, რომლებსაც ომმა წააართვა ყველაფერი, ბავშვები, რომლებიც დიდების ამბიციებს შეეწირნენ... და რამდენი ბავშვი... სწორედ ამიტომ მინდოდა, სულ პატარაობიდანვე მესწავლებინა ჩემი შვილებისათვის, რომ არასოდეს დავიწყებოდათ: როცა თვითონ ჭამდნენ, სადღაც მათ თანატოლს შიოდა, სულერთია, მსოფლიოს რომელ კუთხეში და ამით ჩემი შვილების დაკომპლექსება კი არ მსურდა, მინდოდა მათში თანალმობის, სოლიდარობის განცდაც გამეღვივებინა დაჩაგრულისადმი და მადლიერების შეგრძნებაც სამყაროსა თუ ღმერთისადმი...

დაბოლოს, თუ მაინც მოხდა არასასურველი და ვინმე დარჩა ობლად, ისე, როგორც მე ცამეტი წლის ასაკში, მაშინ ვუსურვებ, ყველას ჰყავდეს გვერდით ჩემი დებივით თავგანწირული უფროსი და-ძმები...

დიანა ანფიმიადი

ბიჭი კლასში იყო, ქართულის გაკვეთილზე, ძალიან უნდოდა მაგიდის ქვეშ ჯდომა, ანდა კლასში იმ რიტმით სიარული, როგორც მასწავლებელი ტექსტს კითხულობდა, ან ფანჯარაში გადახედვა, იქნებ გარეთ მანქანები ათვალიეროს და ყოველი ლურჯი მანქანა გულში დათვალოს, მერე ფეხისგულებზე ჭიანჭველები დაესივნენ და ფეხსაცმლის გახდა მოუნდა, მერე ძალიან დაინტერესა წინ მჯდარი გოგონას ქურთუკმა, რაღაცნაირი, ხაოიანი ნაჭერი იყო, ნეტავ როგორია? მერე სიმღერა მოუნდა, მერე ფანჯრის დაორთქლილ მინაზე თავისი, დედამისის და მამამისის სახელების დაწერა.

მერე რიგ-რიგობით ყველაფერი გააკეთა, რაც სურდა, უხმაუროდ არ გამოვიდოდა, შენიშვნაც მიიღო, მაგრამ არავის უჩხუბია. შუალედებში მასწავლებლის ხმასაც უსმენდა, ხმა ჰქონდა ტკბილი და ნოტიო, შოკოლადიანი რძესავით, თვალები – თბილი, თუ გაბედავდა და თვალებში შეხედავდა, ბიჭს არ უყვარდა თვალებში ყურება. სამაგიეროდ, უყვარდა ყველაფერი, რასაც ისმენდა და კლასელებთან ერთად რთულ საკვარჯიშოებზე პასუხის გაცემა.

დღეს ეს ბიჭი დიდია, ძალიან ჭკვიანი და ფიქრიანი, ჭიანჭველები უკან მოიტოვა, მასწავლებლის თვალები – ისევ ახსოვს.

მისით ყველა ამაყობს.

შედეგიანი ინკლუზიური განათლების სისტემა ყველა ბავშვს, ვისაც ეს სჭირდება!

მარიამ წიკლაური

ბავშვები დედამინის ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი, გულწრფელი, კეთილი და მოსიყვარულე რასაა! ბავშვებისგან უნდა ვისწავლოთ ზრდასრულებმა, რომ გვჯეროდეს სასწაულის, გვიყვარდეს თამაში, გვსურდეს გაზრდა, გვესმოდეს ყველას ენა, ჩიტებიდან თოვლის პაპამდე, არ ვიომოთ, არ მოვკლათ, არ მოვწამლოთ, არ წავართვათ სახლი. გვქონდეს ერთი საკუთარი სარწყავი ყვავილებისთვის, საყვარელი წიგნი, საკუთარი ყულაბა და მაღალი კიბე ცისთვის. რა იცი როდის, რა დასჭირდებათ უფროსებს, დახმარება ხომ უნდა შევძლოთ...

ნინო სადღოგელაშვილი

ეგეთი ჩვევა აქვს – როცა ვინმე მტრად აეჯაგრება და ცუდ საქმეს დაუპირებს, ან როცა ვინმეს, მის გარშემო სიყვარული ჩაებუუტება ჩასაქრობად განწირული ბუხრის ცეცხლივით, ან როცა ჩვენ ყველანი ვინმეს ერთ ხმაში ლანძღვას ვიწყებთ და უპირობო არგუმენტებით ვამყარებთ მის ღორობას (ადამიანის საპირისპირო არაადამიანს ვგულისხმობთ ხოლმე ამ სიტყვაში), – დახუჭავს თვალებს, ერთი წუთით გააჩუმებს გარშემო ყველას და ყველაფერს და, იმ დახუჭული თვალების ეკრანზე წარმოიდგენს იმ მტერს თუ ღორს თუ არაადამიანს ბავშვად, როგორი ბავშვიც ის შეიძლებოდა ყოფილიყო, დეტალურად, ფოტოგრაფიული სიზუსტით, უფრო მეტიც – ძველი ფოტოსთვის დამახასიათებელი მსუბუქი ბუნდით გაცრეცილ არშიებზე... მერე ამ წარმოდგენილ ბავშვს დაასკუპებს ჩვენს წინ, გაშლის ხელებს და ალალად ამბობს: შეხედეთ ბატონებო, რა საყვარელია!..

ამ დროს შეიძლება თვალიც ვერ გაუსწორო ვერც მას და ვერც ბავშვს, ისეთი ნამდვილი და შუქით სავსეა ორივე!..

ის ჩემი მასწავლებელია, დიდი ბავშვი, რომელმაც უამრავს გვასწავლა, ერთმანეთში ბავშვებს რაც შეიძლება დიდხანს ვხედავდეთ!

დათო გაგუნია

რას ნიშნავს მაინც აკვიატება! დიკენსის „დევიდ კოპერფილდი“ ყდაშემოხეული მქონდა ბავშვობაში (მრავალჯერ წაკითხვისგან), სულ ზეპირად ვიცოდი, სულ მეტირებოდა და მაინც თავიდან ვკითხულობდი. გავიდა რამდენიმე წელი, კაი დიდი ვიყავი უკვე და ერთი ჩემი უმცროსი მეგობარი, რომელიც მაშინ შეუდგა წიგნის კითხვას, მიზიარებს აღფრთოვანებას, როგორ მოსწონს კლარა პეგოტი. გავშრი. გამაცია. მთელი ამდენი წელი, ამდენჯერ წაკითხულ წიგნში ვერ შევამჩნიე, რომ თურმე ამ გვარს არასწორად ვკითხულობდი „პეტოგი“. მახსოვს, როგორ შემრცხვა, გავწითლდი. ჩემი მეგობარი ვერ მიხვდა, რა დამემართა, არადა, მე სამყარო დამენგრა თავზე, მთელი ბავშვობა ტყუილში მიცხოვრია. ახლა, როცა ვინმე დიკენსზე ჩამოაგდებს სიტყვას, მე ისევ პეგოტი-პეტოგი მახსენდება და მეცინება, მაგრამ თან მრცხვენია. ეს წიგნი არასოდეს არ დამანებებს თავს, ძალიანაც რომ მინდოდეს. ან რატომ უნდა მინდოდეს, კარგი წიგნია. რომ დავბერდები, ხელახლა ნავიკითხავ, ოღონდ, ამჯერად იმ პატიოსანი ქალის გვარი არ შემეშლება. ჰოდა, ყველა ბავშვს – რაც შეიძლება მეტი შეცდომა.

გიორგი კეკელიძე

ბავშვობა დიდებისთვის გაუგებარ სიხარულებს ნიშნავს.

ჩვენ სხვანაირი ბავშვობა გვქონდა. სხვისას არ ჰგავდა. არც გამხმარ პურს ვჭამდით და არც შოკოლადის კარაქიანს. არ იყო ეს უკიდურესი სიღარიბე და რა გასაკვირია, რომ არც სიმდიდრე არ იყო. არც მწუხარება და არც სიხარული. არც ტყვეობა და არც თავისუფლება. სადღაც შუაში გაჩხერილები ვიდექით მამიდაშვილების გამონაცვალი შარვლებით, შარვლებში ნაკლეიკებით და რუმინეთიდან, ბიცოლაჩვენის ჩამოტანილ რეზინებს ვღეჭავდით და ვბერავდით. მაგრამ, ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ამოვარდნა გვეგულებოდა იმ დროს – საზაფხულო არდადეგები. განა რამე იცვლებოდა კალენდარში რიცხვების გარდა. იგივე ხიდი იდგა და მდინარეში იგივე ხიდიდან ვხტებოდით. იგივე მდინარე ჩამოდიოდა. იგივე ღობეები და იგივე ლოგინები და იგივე სიზმრები. და წვიმის ხმა ოჭვათოში – ძალიან იგივე. მაგრამ ზაფხულის არდადეგებს მაინც საგანგებო სუნთქვით ვხვდებოდით, რადგან ეს შეუმჩნეველი ოცნება იყო ნამდვილ არდადეგებზე. მოგზაურობებით და თავგადასვლებით სავსე არდადეგებზე. სიახლეებით და გაკვირვებით სავსე არდადეგებზე. და გვიხაროდა, რადგან ვიცოდით ან უფრო ზუსტად: ვგრძნობდით, რომ ზაფხულის არდადეგები გულისხმობდა სხვა ამბებს, რომელიც შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ვერასოდეს მოხდებოდა. ამ უცხო ტვირთით მოვედით ჩვენ. სხვა ვერ გაიგებს ამ სიმძიმეს და სიმსუბუქეს. გაუგებარ სიხარულს. შეიძლება ბოლომდე ჩვენც ვერ გავიგოთ ჩვენი ნელ-თბილი ბავშვობა, დიდი ამოვარდნით, დიდი სიცხით – საზაფხულო არდადეგებით. ბავშვობაც ეს არდადეგებია. მერე დიდი და დაუსრულებელი „საქმე“ იწყება. ამ არდადეგების უსაქმოდ გატარებას გისურვებთ ბავშვებო:)



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
12 ლარი



ფიზიკა
საგნებსტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
10 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე
7 ლარი

თამარ ბერიტაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
10 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონი ლიტერატურის მოყვარულთათვის
4 ლარი

ბიოლოგია
ერთიანი გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მელრაძე, ლ. ნაზირიშვილი
I ნაწილი – 10 ლარი
II ნაწილი – 10 ლარი

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.